



X V. საქართველო. საზოგადოებრივი გაზეთი. X V.

№ 3. კვირა, 13 იანვარი 1902 წ. № 3.

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი — სამი შაური.  
სქელის მოწერა მიიღება: თფილისში — «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, თეატრის ქ., № 12.  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: უცხოეთი გასულ წელს. — შინაური მიმოხილვა. — სხვა-და-სხვა ამბები. — კორესპონდენციები. — რუსეთის ცხოვრება. — წესები სტუდენტების ორგანიზაციებისა. — წერილი მიუნხენიდან, 3 კ — ნისა. — სიჩუმე, ლექსი კ. გოგოლაძისა. — სიტყვაკაზმული მწერლობა 1901 წელს, ი. გომართელისა. — ფრიდრიხ ნიცშე, ა. ჩხენკელისა. — ბიბლიოგრაფია, — ნ. ისა — გურიის „შუამავლის“ კრება, მონისა. — ურნალ გაზეთებიდან. — განცხადებანი.

საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„**ბ ვ ა ლ ი**“  
(წელიწადი მუთუ)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისის გარეთ ღირს ორი აბახი.

სქელის მოწერას შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შეკრახონ:

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-ახნაურო ქარავასლა), რკინის გზის სადგურზე — პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალსენაჟში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში კალისტრატე ჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხ.ონში — სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაჟში — არსენ წითლიძესთან. ოზურგეთში — დომენტი შავიშვილთან. საბუნჩაში — დიმიტრი მეღაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

უცხოეთი გასულ წელს.

უცხოეთის სახელმწიფოთა შინაურ ცხოვრებაში გასული წელი არ ყოფილა მდიდარი ცვლილებებით. გერმანიაში უმთავრესი მოვლენები უკვე აღვნიშნეთ წინა წერილში. საფრანგეთის მართვა-კამეგობა ისევ ვალდეკ-რუს-

სოს კონცენტრაციის კაბინეტის ხელშია, რომელიც რესპუბლიკის განსაღდელში ჩაეარუნამ მოიწოდა. მისი პირდაპირი დანიშნულება იყო რესპუბლიკის ანუ არსებული სახელმწიფო წესწყობილების დაცვა და ეს დანიშნულება შეასრულა კიდევ. რესპუბლიკის მტერთა უკანასკნელი და უძლიერესი საბუღარი იყო სასულიერო კონგრეგაციები და ვალდეკ-რუსსოს კაბინეტმაც უკანასკნელი იერიში ამ დაწესებულებებზე მიიტანა. მან გაიყვანა პარლამენტში ამ კონგრეგაციების წინააღმდეგ მიმართული კანონ-პროექტი, რომელმაც ბევრ მათგანს აღუკრძალა საფრანგეთის ტერიტორიაზე ბინადრობა და დემორჩილა ისინი სახელმწიფოს. ამ რესპუბლიკის დაცვის საქმეში ვალდეკ-რუსსოს გვერდში უდგას საფრანგეთის დემოკრატაც, რომლისთვისაც სხვაზე მეტათ არის საჭირო სახელმწიფოში თავისუფალი წყობილება, მაგრამ როცა სამინისტრო შინაურ რეფორმების განხორციელებას შეუდგა, თავი იჩინა მის პარტიაში არსებულმა უთანხმოებამ. ამის გამოაშკარავებას ვერც მილიერანის სამინისტროში ყოფნამ შეუშალა ხელი. პირიქით, სწორეთ იქ და იმ პროექტებს გარჩევს დროს უფრო გამოაშკარავდა, რომლებითაც მილიერანი ფიქრობდა თავის პარტიის პროგრამის განხორციელებას. ასეთი იყო მუშათათვის სახელმწიფო პენსიების დაარსების კითხვა, რომელსაც ყველაზე მეტი წინააღმდეგობა თვით მემარცხენეთა პარტიამ გაუწია. ვერც მთა-მადნის მუშათა მოსალოდნელ გაფიცვის დროს ისახელა თავი სამინისტრომ და მინაც ბურჟუაზიულ-რეაქციონერულ სამინისტროთა საშუალებას მამართა — ჯარის მუშათა წინააღმდეგ გამოყვანას. მართალია, სამინისტრო ბოლოს დათანხმდა სამუშაო დღის ათი საათიდან თანდათან 8 საათამდე დაყვანას, მაგრამ ეს აუცილებელი იყო ამ წესიერების დამკველი სამინისტროსთვის: მეტათ სახედათო შეტაკება მოელოდა მას თმქმის 200 ათას მთა-მადნის მომუშავეებთან და ეს მოძრაობა ისევ ადვილი შესაჩერებელი არ

იქნებოდა, როგორც რეაქციის ალაგმვა. მაინც, გასული წელი არ ყოფილა უნაყოფო საფრანგეთის დემოკრატიისთვის და მან რამდენიმე ბიჯი წაღვა წინ თავის პროგრამის განხორციელებაში.

ინგლისის შინაური ცხოვრება უმთავრესათ დამორჩილებული ქონდა ისევ ტრანსვალის ომს და მის გარშემო ტრიალებდა. ამ ომმა გამოააშკარავა ლიბერალთა პარტიაში არსებული უთანხმოება; მან წამოაყენა ნათლათ ირლანდიელთა მოძრაობის გამწვავება-განცალკევებაც. მით იყო გამოწვეული სახელმწიფო გადასახადის აწევაც (2 პენსით) და მან გახადა თვალსაჩინოთ, თუ რამდენ მსხვერპლს თხოულობს ხალხისაგან ბურჟუაზიის მადა-გახსნილობა; მაგრამ ჯერ საზოგადოება არ შედგომია ამ ომის მწვავე შედეგთა სრულათ დაფასებას, და გასულმა წელმა მიმდინარეს გადმოცა ანგარიშის გასასწორებლათ. თვით ინგლისის დემოკრატია კი ჩვეულებრივ არ ერეოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისევ თავის საპროფესიონალო კავშირებში (ტრედ-უნიონებში) იყრალა თავს.

აქტივობაში ისევ ეროვნული განხეთქილება იყო გამეფებული გერმანელებსა და ჩეხებს შუა და ისევ ისეთივე უმოქმედობაში იყო ჩაფარდნილი პარლამენტი, როგორც წინა წლებში. კერბერის ჩინოვნიკური სამინისტრო შეეცადა ფართო რეფორმების წამოყენებით მიევიწყებია როგორმე ეს ეროვნული განხეთქილება პარლამენტისთვის, მარა ეს შეუძლებელი შეიქნა, იმდენათ გამწვავებულა აქ ეროვნული ბრძოლა. გერმანელები ვერ ივიწყებენ თავის ატონობას, ვერ ურიკდებიან ეროვნულ თანასწორობის პრინციპს, რადგან პოლიტიკური ძლიერება ხელს უწყობს ამ ერის ბურჟუაზიის ინტერესებს; ჩეხებისა კი სწორეთ ამ თანასწორობას თხოულობს და ძნელი მოსარიგებელია მშვიდობიანი გზით ეს ერები. მუშათა პარტია განზე არ იდგა ამ ბრძოლაში, თუცა თავის პროგრამაში მთავარ ადგილს სხვა კითხვებს უთმობდა. მაგრამ იქამდინ გამწვავდა საქმე, იმ ზომამდე მიივიწყა პარლამენტმა ამ დავაში სოციალური რეფორმები, რომ ბოლოს იმათაც შეიტანეს თავის პროგრამაში ეროვნული კითხვა და გადაწყვიტეს ისე, როგორც მოსალოდნელი იყო ჩაგრულთა ინტერესების დამცველი პარტიისაგან. მათ მოითხოვეს ეროვნული თანასწორობა და გადაწყვიტეს დახმარება გაუწიონ ჩაგრულ ერებს. ასეთი მოკავშირის მოპოება დიდი შესაძენია პატარა ერებისთვის, მაგრამ სანამ ავსტრიაში თანამედროვე კონსტიტუცია იქნება, რომელიც მხოლოთ მოქიშვე ბურჟუაზიებს აძლევს ადგილს პარლამენტში, მანამდის კითხვის გადაწყვეტის მოლოდინი უსაფუძვლოა. მხოლოთ მაშინ მოედება ბოლო ამ კითხვას, როცა პარლამენტში, თუ უმრავლესობა არა, საკმაო უმცირესობა მაინც ეროვნულ «ინტერესებისაგან» თავსუფალი პარტიის ხელში გადავა, და თვით პარლამენტი ისე უზრუნველყოფილი შეიქნება, რომ შეუძლებელი შეიქნება ისეთი მუქარა, როგორსაც გასული წლის დამღვეს მიმართა ავსტრიის სამინისტრომ.

სოციალურ კანონმდებლობაში ყურადღების ღირსია ქვა-ნახშირის მალარობებში ათი საათის სამუშაო დღის დაკანონება და მეორე მხრით კრიზისის შესამსუბუქებლათ მთავრობისგან მიღებული ზომები (რკინის გზების გაყვანა). იტალიის ცხოვრებიდან მოსახსენებელია სამინისტროს შეცვლა და მართველობის ლიბერალური პარტიის

ხელში გადასვლა. წინანდელი სამინისტრო მოკლებული იყო ვარკვეულ პროგრამას და ყველაზე უფრო გენერს ნავთსადგურთა მუშების გაფიცვამ აუბნრა. მისი გზა, მხრთალია, ახალი სამინისტროს დიდი სოციალური ცვლილებების მოხდენა არ შეუძლია, მაგრამ ისეთ ქვეყანაში, როგორც იტალია, მოქალაქეთა პირადობის და თავისუფლების პატივისმცემელი სამინისტროს არსებობაც დემოკრატიის გაძლიერების მაჩვენებელია.

ევროპის სხვა სახელმწიფოებში გასული წელი წადი უფრო მწვავე იყო ისპანიისა და ბელგიისათვის. ისპანიაში გამწვავებული ბრძოლა კლერიკალებსა და რესპუბლიკანელებს შორის, რომელიც იმ ზომამდე მივიდა, რომ კონსერვატიულმა კაბინეტმა უარყო კონსტიტუციონური გარანტიები, შექოილო სამხედრო წესები, გააძლიერა ცენზურა როგორც პრესის ისე თეატრის. მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო შეიქნა, და ბოლოს კონსერვატიულმა კაბინეტმა ადგილი დაუთმო ლიბერალურს, რომელმაც აღადგინა კონსტიტუცია და გააუქმა განსაკუთრებული ზომები, რომელთაც გარეშე ხალხს გამწვავებისა და ოპოზიციის გაძლიერებისა არსად არაფერი მოყოლია. ბელგიაშიც შეტაკებულ ი არიან კლერიკალები და სოციალისტები. მუშათა პარტია ენერგიულათ იბრძოდა საყოველთაო საარჩევნო უფლებათა შემოღებისთვის და პარლამენტში ზოგიერთჯერ ობსტრუქციისაც კი მიმართა, მაგრამ ეს კითხვა კიდევ გადაუწყვეტელი დარჩა.

მეტათ გამწვავა ამ პარტიათა შორის ბრძოლა სამხედრო კანონპროექტმაც, რომელმაც თუმცა სამსახურის ვადა შეამცირა, 28 თვის ნაცვლათ 21, მაგრამ ამასთანავე მოსპო სამსახურიდან დროებით დათხოვნა (отпуски) და დატოვა სრულიად შეუფერებელი მეოცე საუკუნისთვის სამხედრო სამსახურისგან ფულით თავის დახსნა. (აქამდინ მიიყვანს მოზადლეობა), ვოლონტარიტი, გააძლიდა სამხედრო ბიუჯეტი, მოუმატა ჯარს რიცხვი. რასაკვირველია, სამართლიანობის დამცველი პარტია ამ წესს ვერ შეურიგდებოდა, მაგრამ მათი ცდა უნაყოფო შეიქნა და კლერიკალებმა გაიმარჯვეს.

ჩრ.-ამერიკის შეერთ. შტატებში პრეზიდენტი გამოიცვალა; მაკ-კინლეის ადგილი, რომელიც ანარხისტმა ჩოლოგსმა გამოასალმა წუთისოფელს, დაიჭირა იმავე პარტიის წევრმა, ვიცე პრეზიდენტმა რუზველტმა, მაგრამ ამ ცვლილებას არაფერი დადი დაუმიხევია არც შინაურ და არც საგარეო პოლიტიკაში...

**შინაური მიმოხილვა.**

გუშინდელი დღე (12 იანვარი) უმთავრესათ სტუდენტების დღეა და ეს ჩვენმა ქალაქმაც იგრძნო. გუშინ გაიმართა ბალი კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების ფონდის სასარგებლოთ; თვით საზოგადოება ჯერ საბოლოოვით არ არის დამტკიცებული, მაგრამ ეს მხოლოთ დრ.ას კითხვაა და სიამოვნებით ვულოცავთ ჩვენ სტუდენტებს ამ საჭირო დაწესებულების დაარსებას. ბევრი მათგანი დიდ გაჭირვებაშია და კავკასიელებში ყველაზე მეტათ ქართველები, რადგან ქონებრივათ ჩვენზე ნაკლებ უზრუნველყოფილი იშვიათათ არის ვინმე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოება ჩვეულებრივი თა-

ნაგრძობით მიეგება ახალ საზოგადოებას: ყველა შეძლების დავარათ დაეხმარება მოსწავლე ახალგაზღვრებს, და მომავალში უფრო იშვიათად გავიგონებთ ლუკმაპურზე ჩივილს იმ ახალგაზღვრებზე, რომელთა უმთავრესი საზრუნავი მეცნიერება და ცხოვრებისათვის მომზადება უნდა იყოს. ჩვენი შეხედულებით, ყოველი მოსწავლე ახალგაზღვრე თავისუფალი უნდა იყოს ამ საზრუნავისაგან და მაშინ შეეძლება, საესებით მიეცეს სწავლის საგანს. ეს უზრუნველყოფა კი თვით საზოგადოების მოვალეობაა. მაგრამ ასეთი საზრუნავისაგან განთავისუფლება კიდევ მეტ მოვალეობას ადებს სტუდენტობას და უფრო ნაკლები გასამართლებელი მიზეზები ექნებათ, თუ ის ვერ მოგვცეს, რასაც ველით. ველით კი მათგან უმთავრესათ მოქალაქეთ და პრაქტიკულ მუშაკთ, მეცნიერული მომზადებით. მეცნიერობა და მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგში მუშაობა კი რჩეულთა ხვედრია.

აი, ამ სიტყვებით მივულოცავთ სტუდენტებს მათ ახალწელს, რომელიც შედარებით არა ურიგოთ დაიწყო მათთვის და იმედი გვაქვს კიდევ მეტს მოუტანს...

\* \*

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ქალაქის საბჭოს მიერ თავ. არღუთინსკი-დოლოგორუკის პროექტის დამტკიცება, რომელიც შეეხება დაბალ მოსამსახურეთა დახმარებას. ამ პროექტით დახმარება ეძლევათ იმ მოსამსახურეთ, რომელნიც იღებენ 1200 მან. ნაკლებს წელიწადში, უეცარი უბედურების დროს (სიკვდილი, ცეცხლი და სხვ.) და ავთიმყოფობის დროს (ოჯახის წევრებისა), არა უმეტეს თვიური ჯამაგირისა. მართალია, ეს დახმარება მეტათ მცირეა, მაგრამ დასაწყისისათვის ესეც კარგია. რა მწვავე და საგრძნობელი უნდა იყოს ამ მოსამსახურეთა გაჭირება, რომ დღევანდელმა საბჭომაც კი მიაქცია ყურადღება და საჭიროთ ცნო დახმარება. იმედი გვაქვს, განახლებული საბჭო უფრო მეტი ყურადღებით მოეკიდება საქმეს და სხვაგვარ დახმარებასაც შემოიღებს. როგორც, მაგ., დაზღვევა, ემერიტურა, პენსიები და სხ. მართალია, საბჭოს უფლება აქვს ყოველ კერძო შემთხვევაში დახმარება აღმოუჩინოს თავის მოსამსახურეთ, მაგრამ ყოველთვის ჯობს, განსაზღვრული და წინათვე გამოარკვეული იყოს ყოველი დამჭირავებელის ვალდებულება დაჭირავებულის წინაშე.

\* \*

გვინდოდა სიამოვნებით აღვგენიშნა ბათომის გათავიანებაც, მაგრამ, სამწუხაროთ, მათი არჩევანი არ იქნა დამტკიცებული. ჩვენ არ ვიცით და ვერას ვიტყვით, როგორი მომვლელ-პატრონი იქნებოდა თავ. ანდრონიკაშვილი ბათომისთვის, მაგრამ რაკი მისი ინტერესების წარმომადგენელთ იგი აირჩიეს, სასურველი იყო ის გვენახა მოურავათ...

\* \*

ბევრი ძალათ-პატრონი და დედინაცვალი გამოუჩნდა ბათომის სკოლასაც. ბევრი იყო წინააღმდეგი ამ სკოლაში მესამე მასწავლებლის მოწვევისა და ზოგიერთთა დუბჰკირობა იქამდინაც კი მივიდა, რომ სამზრუნველოს და გამგეობას ურჩევდნ და ავალბდნ საზოგადო კრების დადგენილება არ აესრულებიათ, თუნდ საშუალებაც გამოენახათ. მაგრამ ასეთი სისულელის ჩადენა და უადგილო ხუმრობა არც ერთ დაწესებულებას არ შეეფერებოდა და არც

ამათ მოიქმედეს. მართალია, გამგეობა დიდად არ შეტკივებდა თავს მესამე მასწავლებლის მოწვევისთვის, რადგან ყუმისთაველისტები იქაც არიან, როგორც ცნობდა მით უფრო სასახელოა ბათომელებისთვის, რომ მათ მოუხახეს წამალი თავის სატკივარს. როგორც იქნა, ბათომელ ქართველთა დახმარების იმედით გადაწყვიტეს მესამე მასწავლებლის მოწვევა და მოიწვიეს კიდევ, და მით დამარცხდნ მეოცე საუკუნის ობსკურანტები, რასაც გულითადი მწუხარებით ვაუწყებთ ყუმისთაველს, ჩიორას და სხვ. ხოლო ვულოცავთ სკოლის მასწავლებელთ და ვუსურვებთ საგანით მეოთხე ამხანაგს.

სხვადასხვა ამბები.

ბათომიდან დევშით ატყობინებენ „კავკასს“, რომ ქალაქის მოურავათ არჩეული თავადი ი. ზ. ანდრონიკაშვილი საგუბერნიო მთავრობას არ დაუმტკიცებია.

დღეს, 13 იანვარს, დილის თერთმეტ საათზე დანიშნულია დურგალთა ამხანაგობის წლიური კრება, რომელმაც უნდა განიხილოს გასული წლის ანგარიში და მოისმინოს მოხსენება საზოგადოების მოქმედების გაფართოება გაუმჯობესობის შესახებ.

გასულ წელში ამხანაგობას ქონია შემოსავალი 3.700 მანათი.

მასწავლებელ ქალთა თფილისის საზოგადოება თხოვდა ქალაქის გამგეობას წლიურ დახმარებას (900 მან.) ადგილობრივი ენების განყოფილებათა შესანახათ. ეს თხოვნა გაურჩევია ჯერ სამოსწავლო კომისიას და შემდეგ გამგეობას და ორივეს უარით გამოუსტუმრებიათ ეს სიმპატიური დაწესებულება. მათი აზრით თვით საზოგადოებას აქვს საშუალება ამ განყოფილებათა შესანახათ და ამაზე დაუმყარებიათ თავისი უარი.

ნავთის ბაზარს არ ეტყობა გამოცოცხლება. დაუწმენდელი ნავთი ლარს ფუთი 4<sup>3</sup>/<sub>4</sub> კაბ. და მოსალოდნელია კიდევ დაიწიოს ფასმა.

6 იანვრის ბალიდან სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოთ, როგორც ამბობენ, დარჩებათ წმინდათ 2500 მანათამდე.

სენატმა განმარტა, რომ კანონიერ ცოლს ნება აქვს ცალკე ცხოვრება მოითხოვოს, როცა ქმართან ცხოვრება შეუძლებელია მისი მიზეზით. ასეთ შემთხვევაში ცოლს შეუძლია თვიური სარჩოც მოითხოვოს ქმარს, თუნდ უკანასკნელი არ უშლიდეს ქალს მის სახლში ცხოვრებას.

7 იანვარს მოხდა თფილისის მოქალაქეთა მამასახლისის არჩევანები და მასთან სხვა თანამდებობის პირთა კრებას დაესწრო 93 დეპუტატი (ასიდან). მამასახლისათ აირჩიეს ბ. ბულდანიოვი (ძველი), მის კანდიდატათ — ბ. დანდუროვი.

7 იანვარს, ქალაქის საბჭოში მოხდა არჩევნები გამგეობის წევრისა, ნაცვლათ ბ. ხოსროვისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა. აირჩიეს ისევ ბ. ხოსროვი.

კავკასიის საიმპერატორო საზოგადოებას გამოუცია წინამძღვარიანთ კარის შკოლის ისტორიული აღწერა, რომლიდანაც ჩანს, რომ 18 წლის განმავლობაში კურსი დაუმთავრებია ამ სასწავლებელში სულ 56 ყმაწვილს.

ბათუმის ქართ. შორის წერა-კითხვის გამ. საზ. შკოლის მესამე მასწავლებლათ დაინიშნა ქ-ნილომინიძე 500 მან. წლიური ჯამაგირით.

ქალაქის მექუდუე ხელოსან მუშებმა თხოვეს ტფილისის გუბერნატორს, რომ დაემტკიცებინა მას ხსენებულ ამქრის ურთიერთა დამხმარებელ კასის პროექტი. ამისთანა კასა უკვე ჰქონიათ მექუდუეებს, ამიტომ თფილისის პოლიცემისტერი შეუდგა იმის გამოკვლევას, ვინ მისცათ მექუდუეებს ამისთანა კასის დაარსების ნება.

1902 წელს ამიერ კავკასიაში და ყუბანის ოლქში, უმაღლესათ დამტკიცებულის აღნუსხვით, დაბა-ქალაქების უძრავ მამულებს დაედო გადასახადი: ტფილისის გუბერნიაში—134,000 მან., ერევნისაში—29,000 მან., ქუთაისისა—63,000 მან.; განჯისა—29,000 მან.; ბაქოსაში—140,000 მან.; ჩერნომორსკისა—6,000 მან.; დაღესტნის ოლქში—10,000 მან.; ყარსისაში—7,000 მან.; ზაქათალისა—800 მან. და ყუბანის ოლქში 45,000 მან.

ქუთაისის ქალაქის შემოსავალი გამოანგარიშებულია მიმდინარე 1902 წლისთვის—224.367 მ. 12 კაპ. ამაში უძრავი მამულებიდან—42.277 მან.

როგორც ვიცით ქიათურა წყვდიადით იყო და არის მოცული. ახლა რკინის გზის მმართველობას გადაუწყვეტია ადგილობრივი სადგურის გალკინის სისტემის ლამპებით განათება (ნავთის გაზი). სადგურზე არა ნაკლებ საჭიროებს განათებას შავი-ქვის საწყობები, მაგრამ იმათ შესახებ ჯერ არა ისმის რა. («ნოვ. ობ.»)

1902 წლის თელავის ხარჯთ აღრიცხვით ნავარაუდევია შემოსავალი—12.649 მან. გასავალი—12.605 მან. შემოსავალი აღმატება წინა წლისას—1.231 მან. გასავალში ბირველი ადგილი უჭირავს თვით მართველობის შენახვას—3000 მან. სახალხო განათლებისთვის გადაღებულია სულ—316 მან.

რედაქციისაგან. ბ. ალექსანდრე ბესარიონის ძე ნემსაძის მიერ ცაგერის სამკითხველოს სასარგებლოთ შემოტანილი ოცი მანეთით, თანახმათ სამკითხველოს გამგეთ თხოვნისა, გამოეწერა იმავე სამკითხველოს გაზეთი «იყრია» (8 მან.), «სოპის ფურცელი» (10 მ.) და გადაეცა «ჯეჯილის» რედაქციას 2 მან.

**კორესპონდენციები**

**დ. ცხივჭავაძე.** თუმატა ცხივჭავაძე დაბაათ ირცისუბა, მაგრამ ნამდვილათ ვა არც დაბაა და არც სოფელი. ბნელი ტალასიანი ქუჩები, წარმოუდგენელი სიძვარე სანოკავის, მკლავძეების ქეიფ-სეიმი, ჭორი ლატოსა და ვეჭტუშკისა აი ცხივჭავაძის ყოველდღიური საუკარელი დროს გატარება. ვინ ცსოვრობს ცხივჭავაძეში შემკითხვებით არა? აქ ცსოვრობენ სსკ-და-სსკ მასკლეება, ბრწეინკალე თავალები და სსკ... თუ და-

იწუე რამე საქმე უყურეთ ზოგაერთობის ინტრაგებს, რადგან როგორც გაბედი და მათ საქმეში მეთაურობა არ არც უნეთ, მიუხედავათ იმისა ვარგან ისინი ამ საქმისთვის თუ არა. მსგავსათ შესუდებით აქ ისეთს ოჯახს, რომ ქართული ყურისა-განსუტები მოდიოდესთ. ამას წინათ ურთმა ჩემმა ნაცნობმა მითხრა: «მიონდა „ჯეჯილი“ გამოეწერა სასწავლებელს, მაგრამ აქურმა მოსწავლეებმა ქართულის: «რა იციან რა». აქ ორი შკოლა არსებობს ერთი საქალეობ, მეორე ვაქების. უგანსენელში ბ. ზემიძევი ასწავლის, მაგრამ რათ შესწირაჯს თავისუფალ დროს იმისთანა უმნიშვნელო საგანს, როგორც ბავშვებისათვის „ჯეჯილის“ ან სსკა წიგნების კითხვა. ქალების შკოლაშიც კარგათ არის დაუენებელი სწავლის საქმე! დღე არცა ისე, რომ სკოლიდან დაბრუნებულ მოსწავლეს ბლეჯა ბლეჯა თმა არ მოქონდეს სასლში, უურების სეკა, გასაღების თავში ჩემა, უსაგილოთ ზედიზედ 3—4 დღე, განდისსან მთელი კვირა დატოვება, და სსკა. ქუჩა-ქუჩა, და თავიანთ სასლში მშობლები დიდ საყუადურს გაიძისაინ და შეიღების გაოსანსლლებას ვი ვარჯინ ბედაეს. რა ნყოფი უნდა მოიტანოს ასეთ ზირობებში შკოლამ და რა გაჯენა უნდა იქონიონ ნოჩნ აგებულობაზე ასეთმა მასწავლებელმა, ამაზე არა ვინ არ იფიქრობს.

№ 1.

**ჩოხატაური.** 4 ამ თვეს აქ მოხდა ადგილობრივ რეკლეთას ამხანაგობის წლიური კრება. 1901 წლის ივლისის თვეში მომხდარმა კრებამ ამოიჩინა საბჭო შეიდი კაცისა ჩ, რომლის გადღებულებასაც შეადგინს ყოველა თვის დამოს გამკისთან ერთათ ბჭობა ამხანაგობის სსკ-და-სსკა საქმეებზე, რომელიც აღემატება 50 მანეთს; ამავე კრებაზე არჩეულ იქმნა საჩქეიზიო კომისია (სამი კაცი) სახელდობ: ა) არკეთის მამასხლსია გენატე ჭინჭარაძე, ბ) ადგილობრივი კაჭარი მისიკო ცინცაძე და გ) ადგილობრივი ვეჭელი კოსტანტინე მგელაძე, რომელნიც გადღებულთ იყენ, ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, ორჯერ მოესდინათ რევიზია, გამგისა და საბჭოსათვის, შეუთასებათ მათი ნამოქმედარიო, და მოესსენებათ საზოგადო კრებისათვის. გამგეს და საბჭოს უმუშავნათ, როგორც თვითონ ამბობენ, თანახმათ მათი მკვალეობისა და კადეჯარ წარუდგინეს ეს ნამუშევარი საზოგადოებას. საჩქეიზიო კომისიას ვი არაითარი შრომა არ მიუღია, თითაც არ გაუნძიკეა და ამის გამო საზოგადოებას არაფერი არა აქეს, იმის ასაწონ-გასაზომავათ, თუ რა ღაწლი მიუძღვის და რამდენათ სინდისაერთ უშრომიანთ სსენებულ გამგე-საბჭოს 1901 წლის ივლისიდან დღემდე. საჩქეიზიო კომისიის ამგვარმა უმოქმედობამ კრება მეტათ უსერსულ მდგომარეობაში ჩაუყენა. ერთმა წვეკთაგანმა—მისიკო ცინცაძემ, თავა მით გაიძარულა, რომ «მე არც ვი გამიჯა, თუ საჩქეიზიო კომისიის წევრათ ვიყავი არჩეულიო»; გენატე ჭინჭარაძემ ვი ბძმანა: «რა სსჭირო იყო მანინა და მანინ არ დაგწმუნებოდით ასეთი ღირსეული და რიგიანი კარების ნთქვამს და რევიზია გვექმნა, და კადეჯ ამას გარდა, მე მანინ ჩემ ამხანაგებს ვუყურებდი, როდის მიმიწვევენ-თქო და ამ ღოდანში ვი მომისწო დღეკანდეჯმა დღემო»; მაგრამ ბ. ჭინჭარაძე, სამაგეოროთ წევრების გულის მოსაბრუნებლათ, იმდენი შემწეობა აღუთქვა ამხანაგობას, რომ ვაჭკობთ ეს დაზიკება ღითონ სიტუვათ არ დაჩქეს, თვარა იმ კურთსეულმა თუ ყველა დახმარება შესარულა, წინააღმდეგ ჩვენი იმედებისა, ამხანაგობის ბედს ძალდი არ დაუეთს; მესამე წევრმა, გარდა იმისა, რომ ასეთ ივე უსაქმობა გამოიჩინა, საჭიროთაც არ

ცნო კრებაზე დასწრება, თუცა ნასკეპი ვერცა მისი სადგომი-დან საკრებულო დაბრუნდებოდა. სოკოვერთებს უნდოდათ გამგე-სამ-ჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები სამართლიანათ ეცნოთ ურვეინოთ და დაემტკიცებინათ, მაგრამ სსკებმა უარი განაცხადეს ამასზე და სამართლიანათ მოითხოვეს ხელ-ახალი საკრე-ვიზიო გომისიის აჩვენა. ბევრი მითქმა-მოთქმის შემდეგ კრე-ბაც ამ გზას დაადგინა და აიჩინეს თ. ალექსანდრე ერისთავი, ლუკა შარაშიძე და მღვდ. ემილიანე ჯიბლაძე, რომლებმაც უნდა წარუდგინონ კრებას თავისი რევიზია ოცი დღის ვადაში. ძველი საბჭოს წევრებიდან ამოიჩინეს მთიანეთის თხილეთის თავი ორ-მა პირმა: მღ. ნაგ. ბაბიშვილი და თავადმა ჯაბა ერისთავმა, რომელთა მაგიერს ახალ კრებაზედ ამოიჩინეს სასოგადოება. საბჭოსა და გამგის მიერ წარმოდგენილი ანგარიშით დღეს ამხანაგობას ურდების 373 ნამდვილი წევრი, 11 გი ისეთი, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი გადასადილი საწევრო ფული. 1901 წლის ივლისის აქვთ შემოსავალი უდრის სულ 5.769 მან. და 30 კპ., ხოლო გასაკალი გი 7.289 მან. და 97 კპ. ამხანაგობას აქვს ახლები 572 მან. და 90 კპ., რომე-ლიც, რასაკვირველია, შემოსავალს უნდა მიუძღვოდნენ. ამ სასიით დღეს ამხანაგობას რჩება ვალი სულ 947 მან. 77 კპ.

აი ეს არის გამგისა და საბჭოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშები, ხოლო ეს რამდენათ მართლია ამას გი ახალი საკრევიზიო გომისიის დაგვიანებებს. გარდა ამისა ივლისის კრე-ბაზე იყო გადაწყვეტილი, რომ ამხანაგობას შეეუად ხონს-ტაურის ფოსტა. მოლაპარაკებანი კიდევ უწინდელ მოიჯრე-დრე განაკურს, რომელმაც გაიგო თუ არა ამხანაგობის მდგო-მარობა, ან თუ მან, რომელმაც ქეთისის სასახლის მალა-ტაში ქონაა წარდგენილი „ხალგაზ“, ანუ აქ უგანსაგნელს, იმ შემთხვევაში თუ ის შეიძლება ფოსტას. რაკი ამხანაგობის სულში გადაძღვის ფოსტა, ამისთვის აუცილებელი საჭიროება მოითხოვს, რომ თავისი საკუთარი სახლი უნდა აუგოს ამ-ხანაგობამ. ეს მახსენდა კრებას და აქ დამსწრე წევრებმა თან-ხმობა განაცხადეს, მხოლოდ ამისთანავე დაეკალა საბჭოსა და ახალ საკრევიზიო გომისიის, რომ შეადგინონ სმეტა ამ შე-ნობის ასაგებათ და წარუდგინონ იგი მოძავალ კრებას.

ბენია ჩხიკვიშვილი.

**რუსეთის ცხოვრება.**

გენსტრებთან, რომ განსაკუთრებულ გომისიის მინისტრთა გომიტატის თავმჯდომარის ბ. დურნოვს თანამჯდომარეობით შეუდგა თავად-ახნაურთა მდგომარეობის გამკველვას და მის განაუმჯობესებლათ საჭირო ზომების განმტებნას. ამ გომის-სიის თავისი მრგამ დაუსრულებია და მისმა თავმჯდომარემ წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს თავისი მოსტება. ამ მო-სტებებიდან ჩანს („С.-П. Вѣд.“ № 3), რომ თავდაპირველათ გომისიის ურდადლება მიუქცევია თავად-ახნაურების სიების შედგენისა და ამ წოდებაში ახალ წევრთა ჩაწერისათვის. თან-ხანათ გომისიის მოსაწრებათა ახნაურობას აღარ იძლევა ვლადიმერის 4 ხარისხის ორდენი; და უჩიებს რომელ-თაც ახნაურობა მიუღიათ არ შეუძლიათ თავად-ახნაურთა სასოგადოებაში ჩაწერის. არ ჩაიწერებიან ახნაურთა წიგ-ნებში ის ახნაურები, რომელთაც არა აქვთ გუბერნიისა საკ-მაო უძრავი ქონება, რომ ღირსეულათ სტაროს წოდება. თავ-და-ახნაურთა მიწათმფლობელობის კითხვის გამომკველვის დროს გომისიამ საჭიროთ დაინახა: ახალი წესების შემოღება სა-შვილიშვილო მამულთა შესახებ, და მათ რიცხვში უფრო მცო-

რე მამულთა შეტანის შესახებ; ცამბარში მიწათ-მფლობელთა კლასის (თავად-ახნაურობიდან) დამკვიდრება დაარსებაზე.

მაქცვია აგრეთვე თავად-ახნაურთა შვილების აღზრდა-განათლებას და ამ მიზნით კადეტთა გომისიის, მოსამწა-დებულ მანსიონებს და სტუმარნიებს დაარსებას. მაქცვია უფ-რადდება ქალების აღზრდასაც და უკვლავ ეს ზომები უკვე შე-წინააბრუნებული და მიღებულია.

გომისიის შეხეო სათავად-ახნაურთა დწესებულებებს და ოპეკას. იმავე გომისიის ახრით მეტათ ხელ შემოწობი აქ-ნება ამ წოდებისათვის განსაკუთრებულ საკრებულო კასების დაარსებაც, და საჭიროა სასილმწიფო სახისის დასმარება ამ საქმეში. ამ კასების დახმხულება იქნება სხვათა მორის და-სმარება აღმოჩენილს დაჯალისებულ თავად-ახნაურთ და სსკ.

უკვლავ ეს ზომები უძთაქცესათ განხორციელებულ იქნება და აიის სასილმწიფო სახისის დასმარებით.

== „იუკიას“ დოკუმს „С.-Петербург. Вѣд.“-დან შემდეგი წერილი ქ. ძინსკიდან: «აქურ სადურჯლო სასილმწიფოების ებრე-ბა შემტობა თხოვეს უდალეს მთავრობას, ხება მოკვე-ციით შემათა გლუბი დავაარსოთო. როგორც ამბობს, აქაურ-ბა აღმხმსტრაციამ უკვე მიიღო სამხმსტრაციასაც ბრძახება, შემტობოს საჭირო ცნობები ამ საქმის შესახებ.

მთავრობის ხეობით და უახლამის მოლგო-ხივის თანდასწრებით შემტობი რამდენჯერმე შემტობებს თა-ვიანთ საჭიროებათა შესახებ მოსადაპარაკებლათ, კრებაზე გან-ხმხმეს ასეთი სატები, რომლებსაც ძალით დუგობისა-თვის არა აქვს მხმხულება. ძავ. შემტებს სასოგადოთ შემტე-ბის განტრებულ ძღვათაობას და იმ დობისძებრათ, თუ როგორ უნდა იქნეს გაუმტოკისებული ეს მდგომარეობა ხიე-თიერთ და გომეობით; უსდების პროკტით, გლუბის დახმხულება: შემტობის ხალდე შემტობი ერთათ თა-ვიანთ ინტრესებს ხე მოსადაპარაკებლათ, დაუნდაროს შემ-ტების გომეობა და ხეობობი განვითარებას და გაა-ძღვოროს ძათ მორის თვით-არმტებობა. ამ ახრით გლუბთახ გაიარებთა ბიბლიოთეკა, სატეოსტეკო, ლეკტეობი და საკე-ობი სსკ-და-ახნა სატები ხე. გლუბის ხიგოთეო სასსარს ტე-დებს ხამდეულ წევრთა (წევრთა შემტულით მხოლოთ სსკ-ხეიულ შემტეს) ერთსახათ და უოკელ-ვლადური ტეოსილი სა-წევრო ფულები (1 მხ. 50 კ. ვლადუოთ), დაძმარე წევრთა-გან, ტეოსსული წარმოდგებებისა და გომტეობებისაგან და სსკ-და-სსკა შემოწიფულებასი. გლუბს განაკის წევრთა სა-ხეოდო კრება, ამოხმეული ტამტეობა და საკრევიზიო გომი-სია.

**დროშობითი წინახი სტუდენტთა ორგანიზაციებისა.**

როგორც ვიცით, სტუდენტთა ურველგვარი ორგანიზა-ციები აღდგომული იყო საკრევიზიო სტუდენტთა უსდებით, რომე-ლიც სტუდენტის თვლიდა და აცხობდა მხოლოთ გომო მსტე-ხელებათ; ისინი მოკველული იყენ უფლებას საკოთათ რამე საქმე გამტეწოთ ამ რამე თხოვით და შეადგომდებოთ ძე-ქმართათ თავისთი უფროებისთვის. ასეთი იყო უსდება, ძე-გრამ ცხოვრება ვერ დაძმარხილა და ამ 15—16 წლის გან-ძავლობაში სტუდენტებს ქონდათ ხება დაუოთველათ, როგორც სად-ტეობა-ტეობა სასილმწიფო წევრი, ისე საკრევიზიოთა დე-სმარე კასები და სსკ. უძთაქცესათ გი ეკოთ წოდებული «ხეილახეიტეობები», რომლებმაც იგომეობილეს ერთი სივის შემელები, ახ ქალაქის და გომწახიების მსილვით ახ კოვრე-ბის. თუცა მათი აჩნება არ ეთახმებოდა უსდებს, უო-

კელი ასალი სტუდენტი სიტუაციას და და არავითარ ორგანიზაციისაში მოწინააღმდეგეობას ან მივიღებო, მაგრამ მათი საჭიროება იმდენათ საკმარისი და აუცილებელი იყო, რომ მთავრობას უჩივებოდა მათ არსებობას და სტუდენტებს იმუშავებოდა იყვენ თავისი სიტუაცია გაიტყუათ... 22 დეკემბ. გამოიცა „დროებითი წესები სტუდენტების ორგანიზაციებისა“, რომელთა სისრულეში მოყვანა მიენდო სასწავლებელთა უფროსებს. ასალი წესები ცოტათ თუ ბევრათ აკმაყოფილებენ სტუდენტების მოთხოვნებსა ზოგიერთა მხარეებს და ყველა საძიებნებით უნდა მიეკებოთ მათ. ამ წესების გამოცემის შემდეგ სტუდენტი კერძო მსმენელი აღარ არის, ის არის წევრი სტუდენტთა საზოგადოებისა, რომელსაც თავისი დაწესებულებები და ორგანიზაციის აქვს; მათი საშუალებით სტუდენტებს შეუძლიათ ამდროს თავისი საჭიროებანი მთავრობას და ეს ბევრათ შეამცირებს სტუდენტების ცხოვრების ნორმალური წესის დადგენას, მართლაც, გრების საგნების განხილვა და ნების დათვა მინდობილი აქვს სასწავლებლის უფროსს, (§ 6), მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პრაქტიკა თანდათან გააფართოვებს სტუდენტთა გრების ვიზუალურებას, და დაუმორჩილებს უკანასკნელს ყველა გითხვებს, რომელნიც სტუდენტების ცხოვრებას შეეხებიან. საზოგადო ორგანიზაციის წარმომადგენს გურსის ანუ ფაკულტეტის გრება, (უკანასკნელის როცა სტუდენტთა რიცხვი არ აღემატება სამასს). საერთო გრებას ანუ უნივერსიტეტის წესები ან ცნობენ, მათ მაგიერ არის საერთო გრება სტატუსტებისა, რომელიც იჩივებს საერთო სასაათის გითხვებს და წარედგენს სასწავლებლის უფროსს, რომელსაც აქვს მინდობილი მათი დამტკიცება. სასწავლებლის ყველა დაწესებულებათა ხელმძღვანელობა მიენდობა ერთ-ერთ პრაფესორს, რომელსაც იჩივებს სასწავლებლის იჩივს და ამტკიცებს ოქტის მსმენელი (21 §) ყველა გრებას, (ყოველ შემთხვევაში განსაკუთრებული ნება-რთვა საჭიროა), ესწრება სასწავლებლის უფროსის მიერ დანიშნული ან მასწავლებელთაგანი (პრაფესორი) ან აღმინისტრაციის წევრი (§ 6), რომელიც თვალუფროს ადვანებს, რომ გრება დანიშნულ გითხვებს არ გადაცდეს. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია გრების დასურვა და შემდეგ მასუნის გებაში მიიტყუან და მისაქვნი.

სტატუსტების განდიდატებს იჩივს გურსის ანუ ფაკულტეტის გრება (ის. ზეით) საჭირო რიცხვზე სამკერ მატს, რომელთაგან საჭირო რიცხვს ამტკიცებს სასწავლებლის უფროსი (§§ 10—12). ასეთი საერთო დაწესებულებათა წილობილება, რომელთაც საჭიროების დროს ქონებრივ დასმარებს უნდას უნივერსიტეტიც განსაკუთრებული თანხიდან.

გარეშე ამისა სტუდენტებს ეძლევათ ნება მოწოდონ სალიტერატურა, სამეცნიერო და სამეცნიერო წიკები (პრაფესორის ხელმძღვანელობით § 50—55), სასაბიბლიოები და საჩიბები (33—36), კასისა (37—40), სამზრუნველო ღარიბ მხანაგებისთვის სამუშაოს მოსაპოვებლათ (41—44) და სამკითხველ-ბიბლიოთეკები (45—49) ყველამ ამ დაწესებულებათ თავალ უფროს ადვანებს სასწავლებლის მთავრობა და მისი ნება-რთვით შეიძლება მათი დასრულება. მათი მოქმედება და არსებობა უმთავრესათ დამოკიდებულია, რასაკვირველია, იმაზე, თუ როგორ და რა თვალთ შეხედეს მათ ადგილობრივ სასწავლებელთა მთავრობა, და იმდენათ მკტი იქნება მათი მნიშვნელობა, რამდენათ უფრო თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება ეს დაწესებულებები. დიდი მნიშვნელობა ექნება თვით უნივერსიტეტის წესების სასაათს, რომელიც დღეს თუ სწავ

უნდა შეიცვალოს. რამდენათაც გრცელი იქნება უნივერსიტეტის აკტინობია (რისი მინიჭება საეკოა აღარ უნდა იქოს), რამდენათ თავისუფალი იქნება ჩვენ უმადლეს სასწავლებლებში მეცნიერება, იმდენათ გაუმჯობესდება თვით მასწავლებელ-მთავრებათა გონტიგენტიც და ეს დაწესებულებები შეუწყობენ ხელს სასურველი კაპიტალის დამყარებას სტუდენტთა და პრაფესორთა შორის...

**წერილი მიუხედიან.**

მიუხედიანში ჩვენებური კაცი მრავალ არა ჩვეულებრივ მოვლენას შეხვდება; ამით შორის ორი მის ყურადღებას პირველ დღიდანვე იპყრობს, ის ამჩნევს აქაურ ქუჩებზე მოძრაობას, რომელიც სამ ნაირათ განსხვავდება ჩვეულებური მოძრაობისაგან: ერთი იმით, რომ აქაური მოძრაობა რიცხვით დიდია, მეორე, მეტათ ჩქარი და მესამე—ამ მოძრაობაში არ ურევია ის ელემენტი, რომელსაც ჩვენებურ მოძრაობაში პირველი ადგილი უჭირავს, ე. ი. მოსვირნი. სიჩქარე აუცილებელი თვისებაა აქაური მოძრაობის, რადგანაც აქ ცოტათ თუ ბევრათ მართლდება ინგლისელების «დრო ოქროაო». მიუხედიანი, როგორც საზოგადოთ გერმანელი, წლიდან წლამდე გართულია შრომაში\*). თანამედროვე ცხოვრება მას მეტათ ულმობელათ ეპყრობა. ან იშრომე და ამ დღეში ვაივავლახით გაატარე შენი გაწვალებული სიცოცხლე ან და ეხლავე გამოვსალმე წუთისოფელსაო, ეუბნება ის. ამ ალტერნატივას ის გვერდს ვერ შეუვლის და რადგანაც მეორე პირობა, ე. ი. წუთისოფლის გამოვსალმება, მისთვის შეუძლებელია, მას დარჩენია შრომა... აი ეს ყველასი საქმიანობა არის უმთავრესი მიზეზი აქაური მოძრაობის სიჩქარისა: გერმანელი არ კარგავს დროს, ის არ მიდის, არამედ მირბის ქუჩაზე; ამ მიზეზით არის გამოწვეული კედლის საათების საჭიროება, რომელთა რიცხვი მეტათ მრავალია: კედლის საათს ხედავთ ყოველ ეკლესიის გუმბათზე და მრავალ კერძო სახლებზე. ამგვარი განუწყვეტელი შრომა შესაფერ და ნამდვილ დასვენებას მოითხოვს. ამ ნამდვილი დასვენების და საზოგადოთ ნორმალური ცხოვრების საუკეთესო მაგალითს გვაძლევს გერმანელი. ეს ნორმალური ცხოვრება არის მეორე მოვლენა, რომელიც თქვენ არა ჩვეულებრივათ გიხვენებათ. თქვენ შეეჩვიეთ ქუჩებზე დიდ მოძრაობას დღის განმავლობაში და დარწმუნებული ხართ, რომ ეს მოძრაობა თანდათან შესუსტდება და შეწყდება ღამის 11 ან 12 საათზე მაგრამ აქ 7-9 საათზე კეტენ სავაქროებს, და ამის შემდეგ თქვენ ძვირათ შეხვდებით ქუჩაზე კაცს. თუ კი ვინმე დარჩენილია სახლს გარეთ, ის ან ლუღბანაშია, ან თეატრში. შესანიშნავია ის გარემოებაც, რომ თეატრებში წარმოდგენა ათის ნახევარზე, სულ დიდი ათზე თავდება. ამ საათზე გერმანელი იძინებს, რომ მეორე დღეს დილით ადრინათ ისევ მუშაობას შეუდგეს. გარდა ამ პირდაპირი შთაბეჭდილებისა, თქვენ შემდეგ ტყობილობთ, რომ ცხრა საათი აქ «Polizeistunde»-ა (ე. ი. 9 საათის შემდეგ მცხოვრებს აღკრძალული აქვს ბინაზე ყოველგვარი ხმაურობა, თითქმის ხმამაღლა ლაპარაკიც). საღამოს 8-9 საათზე ყველა სახლების კარები დაკეტულია. ყოველი უთანხმოების და ხმაურობის

\*) საქმეაო გადახედოთ აქაური კაღენდარი, რომ დარწმუნდეთ ამაში: სადღესასწაულო დღეების რიცხვი 18 (კვირა დღეების გარდა) ამ რიცხვ ივე შედის აღდგომა, შობა და ახალწელიწადიც.

ასაცილებლათ დაბინავებისთანავე თქვენ გეძლევათ სახლის კარების და ბინის გასაღებები: როდესაც გინდათ თავისუფლათ, ვისიმე შეუწუხებლათ, შედიხართ და გამოდიხართ ბინიდან. ასე მიმდინარეობს გერმანელის ნორმალური ცხოვრება წლიდან წლამდე. მარა არის დრო, როცა ის გადაცდება ხოლმე ნორმას და არდევს ჩვეულებრივ მყუდროებას. ამას რამდენიმეთ შობის წინა ღამით ამჩნევთ თქვენ, როდესაც ღამის 11 საათზე ყველა, დიდი თუ პატარა ეკლესიისკენ მიიქარის, რომ დატკბეს იქ შეწინააღმდეგებელი მუსიკით. ღამის წირვა 1 საათზე თავდება და «მლოცველები» ბრუნდებიან ჩვეულებრივი სიწყნარით სახლში. სულ სხვა სურათს ხედავთ ახალწლის ღამეს. თქვენ წინდაწინ იცით, რომ გერმანელი ამალამ როგორც შეუძლია ქეიფობს, გინდათ გაიცნოთ მისი მხიარულების ხასიათი და ამ მიზნით გამოდიხართ სახლიდან თერთმეტი საათის შემდეგ. ჯერჯერობით დღესაც ვერავითარ ცვლილებას ამჩნევთ ჩვეულებრივ ცხოვრების მიმდინარეობაში გარდა იმისა, რომ რესტორანები და ლუდხანები ჩვეულებრივზე მეტათ არიან გაჩაღებული და უკეთ მოართული. თქვენ განაგრძობთ გზას; უცბათ რაღაც უცნაური ხმა გესმით, ეს ხმა თქვენ შიშსა გგვრით; ფიქრობთ ვისმე უნდა უქირდესო; ტანი გიწყებთ ქრეოლას, როდესაც ამ უცნაურ ხმას ბანს აძლევენ კიდევ რამდენიმე ადგილიდან. თქვენ დაუპირდაპირდით ამ დროს ერთ დიდ კოშკს; იმის კედლის საათი გიჩვენებთ 12. ეხლა თქვენთვის ყველაფერი აშკარაა; ეს უცნაური ხმები ახალმა წელმა გამოიწვია. თქვენ ხედავთ, ირგვლივ იღება ფანჯრები და იქედან პუნშით ხელში მცხოვრებლები ულოცავენ ახალწელს გამვლელს. თქვენ ყველა სართულებიდან და ყოველი მხრიდან გესმით: *Prosit! Neu jahr!* (იყავ დღევანდელი! მრავალ ახალწელსაო!). საღამოს შეწყვეტილი ცხოვრება იწყება გარკვეული ძალით—დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზდა გამოდის ყველა გარეთ; ქუჩაზე მოძრაობა ძლიერდება. შეერთებულ ყვირილში ვერაფერს ვერ არჩევთ, გარდა ზემოთ მოყვანილი ორი სიტყვისა. შუა ქუჩაში ხალხის დიდ გროვას დაინახავთ, რომელსაც არავითარი გარკვეული მოძრაობა არ ეტყობა: ის ხან ქუჩის ერთი მხრისკენ მიიწევა, ხან მეორისკენ, ხან უკან და ხან წინ. ამგვარი მჭიდროთ შეკავშირებული ერთ ადგილას მოძრაობა საშინელი კიჟინით თვალწინ წარმოგიდგენს თქვენ ჩვენებურ ბურთაობის იმ წამს, როდესაც ბურთი ღელოს უახლოვდება; მოწინააღმდეგე ჯგუფი იკრებს უკანასკნელ ძალას, იწყება ჩართული თამაში,—მერე მოძრაობა წყდება, სამაგიეროთ ხმაურობა და კიჟინი მატულობს. აქ თქვენ ყურადღებას ის გარემოება უფრო იქცევს, რომ ამ აურზაურში მონაწილეობას იღებენ როგორც პოხუცი კაცები, ისე ხნიერი ქალებიც. ყმაწვილები ხომ არავითარ ბავშვურ თამაშს არ თაკილობენ. აგერ ერთი შეჯდომია მეორეს მხრებზე და «ცხენობიას» თამაშობს. ასე და ამგვართ ყველა მოვალეთ თვლის თავის თავს მიიღოს მონაწილეობა მყუდროების დარღვევაში, მით უმეტეს, რომ მას არავინ არ უშლის. დღეს *Polizeistunde* აღარ არის; თვით „შუცმანები“ (პოლიციელები) ამ ამბებს უყურებენ, მათ არ აქვთ ნება ვისმე შენიშვნა მიცენ და ამის გამო ყველა რაც შეუძლია ყვირის «*Neu jahr! Prosit!*» აგერ ერთს თავის ხმის იმედი რომ არ ქონია, შეიარაღებული

ვეებერთელა ნალარი (рупоръ) და იმის საშუალებით ულოცავს ახალწელს გამვლელს და გამომვლელს. ხანგრძლივი ხმაურობის შემდეგ, ყველა მიეწყობა ლუდხანებ-რესტორანებისკენ და იქ ხედებიან ახალწელს; ქუჩები ისევ ცალიერდება, მაგრამ ამას არ მოყვება დღეს ჩვეულებრივი მყუდროება, რადგანაც ლუდხანებიდან თქვენამდე მოდის სიმღერის ხმა. დასასრულ პატარა ინცინდენტი, რომელიც მგონი დიდათ გადიქცეს. როგორც ზემოთ მკითხველი დაინახავდა, ახალწელს გერმანელი დიდი აპიით ხედება, ის ქეიფობს, როგორც კი ძალი და ღონე შეწევს. ამ საერთო მხიარულებაში ასე თუ ისე მონაწილეობას ლებულობს აქ მყოფი უცხოელი მოსწავლე თაობაც (სიტყვა „უცხოელი“ მიუხედავად თითქმის რუსს ნიშნავს, რადგანაც რუსთა რიცხვი აქ თვალსაჩინოა. ეს გასაკვირველიც არ არის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ებრაელები საზღვარგარეთ უმეტეს ნაწილათ გერმანიაში პოულობენ თავშესაფარს). ამ საღამოსაც, ქუჩის ამბების შემდეგ, რუსების ერთმა ჯგუფმა შეუხვია ლუდხანაში; აქ მათ აქაური ახალგაზდობის დიდი კამპანია დახვდა, რომელიც კარგათ შექეიფიანებული იყო; უცხოელების დანახვაზე იმათ თავისი ნაციონალური ჰიმნი შეასრულეს, რომელშიაც თავის სამშობლოს სამოთხეთ ხატავენ. რუსებიც არ ჩამორჩენ მათ და რამდენიმე სწის შემდეგ დაიწყეს მღერა არა ნაციონალური ჰიმნის... ამათ კიდევ არ გაეთავებიათ სიმღერა, როდესაც მთელი აქაური სტუდენტობა წამოდგა და დემონსტრაციულათ ლუდხანა დატოვა. ეს ამბავი საკმაო იყო, რომ მეორე დღეს აქაური ბურჟუაზულ-ლიბერალურ გაზეთში წაგვეკითხა შემდეგი: გუშინდამ «*Ungerer*»-ის რესტორანში პოლონელმა სტუდენტებმა მოახდინეს დემონსტრაცია გერმანელთა წინააღმდეგაო. მიუხედავად იმისა, რომ იმ რესტორანში პოლონელი სრულებით არ მოიძებნებოდა, გავრცელებულმა გაზეთმა ტყუილის წინაც არ დაიხია, რომ თავის მიზნისთვის მიეხწია. რა იყო მისი მიზანი, რათ უნდოდა გაზეთს, რომ ეს სტუდენტები პოლონელები ყოფილიყვნენ? აქ მკითხველი თუ მოიგონებს ვერცთ წოდებულ «ვრეშენის საქმეს», მისთვის ყველაფერი აშკარა იქნება. ეს ამბავი „კვალის“ ერთ-ერთ ნომერში ვრცლათ იყო დაბეჭდილი; ამისთვის მე მასზე არ შევიწერებ. მკითხველს გადავცემ მხოლოდ იმ მთაბეჭდილებას და იმ შედეგებს, რომლებიც ამ საქმემ გამოიწვია. პოლონელების გარდა დაჩაგრულთ მხარი დაუჭირეს ყველა ერების საუკეთესო წარმომადგენლებმა. ბერლინის უნივერსიტეტში ორი ათასზე მეტმა პოლონელმა სტუდენტმა დემონსტრაცია მოახდინა ერთი შოვინისტ-პროფესორის წინააღმდეგ. იქვე ათასამდე პოლონელმა ქალებმა თავისი გულითადი წყრომა (*возмущение*) გამოუცხადეს მთავრობას. ასევე ჰოიქცენ ავსტრიაში პოლონელი ქალები. გალიციის ვაჭრებმა გერმანიას ბოიკოტი გამოუცხადეს: საჭირო საქონელს ინგლისიდან ან საფრანგეთიდან შეპოვიტანთ, შენი არაფერი გვინდაო. თავის კრებაზე ბრიუსელში 2 იანვარს საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ბიურომ სასტიკათ გააკისხა გაგერმანელების პოლიტიკა საზოგადოთ და კერძოთ ვრეშენში ჩადენილი უსამართლობა. ყველა ამის შემდეგ მკითხველი მიხვდება, თუ რატომ მონათლა აქა-

ურმა გაზეთმა რუსები პოლონელებათ. მარტო იმისთვის, რომ ჩამორჩენა არ დამწამონო.

ახლა ხან „ვრემენის საქმე“ და პოლონელების ძაგება იყო მოლაში და მასაც უნდა ეთქვა რამე, და მიზანსაც მიახწია. საყურადღებო ის არის, რომ ეს სრულიად უმნიშვნელო ინციდენტი ვრემენის ამბებს დაუკავშირა...

როდესაც მე ზევით ის აზრი გამოვთქვი, „მგონია ეს ინციდენტი დიდათ გაიზარდოს“-მეთქი, სახეში მქონდა ის, რაც ბერლინის (შარლოტენბურგის) პოლიტენიკუმში უკვე შემოიღეს ჩვენებურ ახალგაზდათა შესახებ: ამ წლიდან დაწყებული იქ აღარ იღებენ ჩვენებური გონაზიის ატესტატით. რამოდენიმეთ ამ ზომებს სხვაგანაც მიმართეს, ემზადებიან აქაც, მარა ამაზე როდისმე შემიღებ.

7 იანვარი.

3. კ - ნი.

**ს ი ჩ უ მ ი.**

ძნელია თურმე სიჩუმე,  
შეწყვეტა ჩანგის ჟღერისა,  
ძნელია განმარტოებით,  
ღუმითი ღენა ცრემლისა!

ძნელია—გულის სიღრმეში  
ანთებულ ნაპერწკლებისა  
იქვე ჩაქრობა, რაც თურმე  
ურჩი ყოფილა ნებისა.

ძნელია შენგნით შორს ყოფნა,  
ვინაც ჩემ გულსა ათბობდი,  
ვისიც იმედით, პომაველით  
ქვეყნათ სამოთხეს ვნატრობდი.

ვისიც ცრემლები ჩემ ცრემლთა  
ნაკადულს უერთდებოდა,  
ვისიც კვნესა და მოთქმითა  
იგი ცრემლები ჩნდებოდა;  
ვისიც ხმა, ჩქევა სისხლისა,  
წინსვლა და სულის კვეთება  
არის მომავლის გვირგვინი  
ბედნიერების კეთება!

ძნელია შენგნით შორს ყოფნა...  
ძნელია—მაგ შენ ხმებშია  
არ ჩავურთო ჩემი ხმა,  
არ ამოგიღვე გვერდშია!

კ. გოგოლაძე.

**სიტყვაპაჯახული მწერლობა 1901 წელს.**

(შემდეგი. - იხ. № 2).

ოჯახის კითხვასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული ქალთა კითხვაც, ქალთა ემანსიპაციაც. უფლებათა და მოვალეობათა თანასწორობა მამაკაცთა და ქალთა შორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგივე შეცვლათა დღევანდელი ოჯახის; ქალთა ემანსიპაცია და დღევანდელი ოჯახის შეცვლის საჭიროება ერთი და იმავე მიზეზით არიან გამოწვეული. ქალის ქომავათ, ცოლის მოსარჩლეთ, ემანსიპაციის მოტრფილეთა და დამცველათ გამოვიდა ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა თავის „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“-ში, მაგრამ ავტორმა სამწუხაროთ მიზანს ვერ მიაღწია; მოთხრობა უფრო მოსწრაფებულ ნაწარმოებს წარმოადგენს, ვიდრე დაფიქრებულსა და შემუშავებ-

ბულს. ავტორი ამტყუნებს ლუარსაბს იმაში, რაშიც ის სრულებით არ არის გასაიტყუნარი, მოწონს ვერაში ის; რაც მის სუსტ და გასაკიცხ მხარეს შეადგენს და ამტყუნებს ავტორის მიერ დაცვა ქალის თავისუფლებისა და ემანსიპაციისა სრულებით ყალბი გამოდგა. ავტორის აღწერით „ლუარსაბი დიდი ლიბერალი იყო; თუმცა ქალთა ემანსიპაციას დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ფართო მოედანს უთმობდა თავის წარმოდგენაში, მაგრამ ნამდვილათ კი განხორციელებული მამაკაცი იყო, ყოველის ეგოისტურის მამაკაცური მოთხოვნებით... რომ ცოლი უნდა იყოს ქმრისა—თუ არა სრული მონა, გამგონი მაინც იმისი განკარგულებისა, ამსრულებელი იმისი სურვილებისა, დამცველი და გამფრთხილებელი ყოველი იმის შეძენილის გროშისა“ და სხვ. მიუხედავად ამისა, მთელ მოთხრობაში ჩვენ ვერ ვხედავთ ვერც ერთ ალაგს, რომელიც გვიმტკიცებდეს ლუარსაბის ხასიათის, ასეთ ორგვარობას, რომელიც აშკარათ ყოფდეს, რომ ლუარსაბი ნამდვილათ მტერი იყო ცოლქმართა შორის უფლებათა თანასწორობისა. რა არ მოწონდა მას თავის ცოლში? ამისათვის საჭიროა განვიხილოთ მოკლეთ, რაში იხატებოდა ვერას ცხოვრება, მისი მისწრაფება მისი იდეალები. ქმარი და სიყვარული მის გონებაში ერთათ მოუთავსებელია; სიყვარულით გათხოვება მის მიზანს არ შეადგენს, ის გაყვება ყველას, ვისაც კი ფული ექმნება იმ იმედით, რომ ქვეყანა ერთი კაცის ამარა არ დარჩება და მას „არშიყობის დრო ქონდა და ექნება კიდევ“. მან გადაწყვიტა, ლუარსაბს გაყოლოდა მხოლოთ იმიტომ, რომ ლუარსაბი შეძლების კაცი იყო და კარგი პრაქტიკაცა ჰქონდა. გათხოვდა თუ არა, ქმრისაგან მოგროვილი ფული უცებ გაფლანგა, სახლის მორთულობას მოანდომა, დაიწყო ბალებისა და ვეჩერების გამართვა და ესეც არ იქმარა,—თავის სიტყვა აასრულა და არშიყი გაიჩინა. ერთი სიტყვით ვერას მიზანი იყო, შეძლებულ კაცს გაყოლოდა, რომ მისი ფულების შემწეობით ისეთი პირუტყული ცხოვრება დაეწყო, როგორც ყოველი გონიერი ადამიანისაგან გასაკიცხია. ყოველივე ეს არ მოწონდა ლუარსაბს, მაგრამ ის ცოლს მაინც არ აფიწროვებდა, ის მხოლოთ უკმაყოფილებას აცხადებდა, ისიც ღმობიერათ და მშვიდათ. წარმოიდგინეთ, მკითხველო, ცოლ-ქმარი, რომელთაგან ქმარი შრომობს, ცოლი კი მისი ნაშრომით ბალებს, კონცერტებს, სადილ-ვახშმებსა მართავს და საყვარელს ინახავს! აი ასეთი ცოლ-ქმარი არიან ლუარსაბი და ვერა; ნუ თუ ლუარსაბის გაუბედავი უკმაყოფილება იმის მომასწავებელია, რომ ის მტერია ქალთა ემანსიპაციის? ან იქნება ავტორს ისეთი ცხოვრება, როგორითაც ვერა ცხოვრობს, ემანსიპაცია გონია? ავტორი რამდენიმე ალაგას ირონიულათ უწოდებს ლუარსაბს «ემანსიპაციის მიმდევარ გმირს» და ამით ამტკიცებს, რომ ემანსიპაციის სახე მას ან მეტათ ბუნდოვანათა აქვს წარმოდგენილი, ან მოთხრობაში ვერ დახატა ის, რაც მის აზროვნებას უნდოდა.

იქ, სადაც სიყვარული არ არის, ცოლსა და ქმარს ერთათ ალაგი არა აქვთ; ამიტომ თუ ვერა გაექცა ლუარსაბს, ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ამაში ვერას ვერავინ ვერ გაამტყუნებს, მის ამგვარ მოქმედებას უხეობის, უსინიდილობის სახელით ვერავინ ვერ მონათლავს; მაგრამ იმ ქალს, რომელიც ანგარიშით, უსიყვარულოთ მიყვება



ქმარს, უფლება არა აქვს თავი იმართლოს, არ მიყვარდა და მიტომ დავანებე თავიო. ვერა კი პირიქით ქმარსა ჰკიცხავს, ქმარს დაცინის: „შენი საყვარელი კალიო სხვამ გიხარშოს, შენი იპატი სხვამ გალალოსო, და იმის დაცინვას ავტორიც უერთდება, სრულებით ვერას მხარეს იქერს და ლუარსაბს კი ჰკიცხავს. მერე რა საბუთით? იმ საბუთით, რომ ლუარსაბი „უსახო, უგვარო და ულაზათო“ იყო. ამას ხომ ჯვარის წერამდე ხედავდა ვერა?! და არა თუ ხედავდა, მან იცოდა, რომ ლუარსაბი მას არასოდეს არ ეყვარებოდა, მან იცოდა, რომ ლუარსაბს მხოლოდ უფლისა და სახელის გულისათვის მიყვებოდა, მან იცოდა, რომ ლუარსაბის ერთგული მეუღლე არასოდეს არ იქნებოდა, მიუხედავად ამისა, მაინც გაყვა ლუარსაბს, მასთან ყოფნის დროს გარყვნილებისა და უზნეო ცხოვრების მეტ არაფერს აკეთებდა და ლუარსაბმა თუ მხოლოდ ამგვარი ცხოვრების წინააღმდეგ ხმა დაძრა, ისიც მოკრძალებითა და გაუბედავით, ეს თურმე ემანსიპაციის მოლაპატრობა ყოფილა! ლუარსაბი საცოდავი, საბრალო, მშიშარა კაცუნაა, მაგრამ ცოლის წინაშე ის სრულებით მართალია; ის თუ გასაკიცხია, მხოლოდ იმაში, რომ მტკიცეთა და კატეგორიულათ არ აღუდგა წინ ცოლის გარყვნილებას და არ მოიშორა ის თავიდან მანამდე, სანამ ის თვითონ არ მოშორდებოდა. უფლებებს მე დიდ პატივს ვცემ. ქალი უნდა განდეს ისეთივე წვერი საზოგადოებისა, როგორც მამაკაცია, მან უნდა მოიხვეჭოს იმგვარივე უფლებანი, როგორც მამაკაცსა აქვს,—ამისათვის კი საქირთა გონებრივი და ზნეობრივი სიმაღლე, რათა ქალი აღიჭურვოს ხასიათის სიტკიცით, ენერგიულათ შეუდგეს თანასწორობის მოხვეჭას და მოპოებული უფლებებით სარგებლობა შეძლოს;—ერთი სიტყვით, გონებრივათა და ზნეობრივათ ამადლეება, აი სად უნდა მიეშურებოდეს ქალი, აი რაში უნდა იხატებოდეს ემანსიპაცია. სამწუხაროთ, უფლებათა თანასწორობა, ემანსიპაცია ასე არ ესმით ვერასა და ავტორს; ვერას ეს თანასწორობა ისე ესმის, რომ მას უფლება უნდა ჰქონდეს, როგორც ნებაგს ისე იცხოვროს, და ავტორიც მას კვერს უკრავს. ვეთანხმები ავტორს, რომ ცოლი და ქმარი თანასწორნი უნდა იყონ, დროა უარვეყოთ ის სულელური აზრი, რომ ქმარი თავია ოჯახის, დროა აღვიაროთ, რომ ცოლისა და ქმარის შეთანხმებული ნება უნდა განაგებდეს ოჯახს, მაგრამ უზნეობის, გარყვნილების ნება არც ქმარსა აქვს, არც ცოლს, თავისუფლება და თანასწორობა გარყვნილებაში არ უნდა იხატებოდეს, როგორც ესა გონია ვერას, რომელსაც ასე ამართლებს ავტორი.

ქალის გული უფრო ღმობიერი, ჩვილი, გრძობიერი, შემბრალები და სიყვარულით სავსეა, ვიდრე მამაკაცის. თუ ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა ღმობიერათ ეპყრობა ვერას და კიდევ ამართლებს მას იქ, საცა მისი გამართლება ყოველათ შეუძლებელია, სამაგიეროთ ბ-ნი არაგვისპირელი მეორე უკიდურესობის მაგალითია: ის მეტათ სასტიკათ ეპყრობა ქართველ ქალს; ის დაუძალავათ გულ ახდილათ, მოაურიდებლათა და მასთან მკვახეთ და შეუბრალებლათ ახლის მას პირში მის ნაკლულევენებას; ამგვარი მანერა წერისა ფრიად სიმპატიური და სასარგებლოა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ავტორის მსჯავრი უსაფუძვლოა, ხანდახან ავტორი ახვევს ქართველ ქალს

თავზე იმ ნაკლულევენებებს, რასაც უკანასკნელი მოკლებულია. აიღეთ მაგალითათ «ჩემი სამშობლო ჩემი გულია». რისთვის შეუყვარდა ზდისის მარო? ამინ უნდა ხსნი იძლევა მისივე წერილი. «ვერ წარმოადგენ ჩემი მხეცობა, წერს ის გაბროს, რა ნაირათ მიზიდავდენ მისი კვიმეტი, დიდრონი, საიდუმლოებით სავსე თვალეები... და ნარჩენ მის სილამაზეზე აღარას ვამბობ, რადგანაც მარო იშვიათის სილამაზისა... მე ხომ ვადვირიე, ისე შემიყვარდა, ერთხელაც აღარ გამხსენებია ვანდა, რომელსაც პირობა მივეცი ცოლქმრობისა“. აქედან პასუჲ თავის თავათ ცხადია: დიდრონი თვალეებმა და იშვიათმა სილამაზემ ისე შეაყვარა მარო ზდისის, რომ ვანდა სრულებით დაავიწყებია. ასეთ სიყვარულს მე ვეძახი პირუტყველ სიყვარულს; ზდისის იზიდავდენ და რევედენ მაროს „დიდრონი თვალეები, მისი იშვიათი სილამაზე“ და ამის შემდეგ ზდისი იმდენათ თავხედია, რომ მაროს უკიჟინებს პირუტყველ სიყვარულს და თავს იწონებს ჩვენ წინაშე. ამის თვალეებში პირუტყვი დაცურავდა და ამან გამიქრო მისდამი სიყვარულიო. ზდისის ბუნებაში ორი ადამიანია შეერთებული: ერთია პირუტყვი, მეორე მაღალი იდეებით გატაცებული ადამიანი; პირველს ვაგიყვებით უყვარს მარო, მეორეს კი არა და ზდისის სიყვარული გაუქარწყლდა, იმიტომ კი არა, რომ მან პირუტყვი დაინახა მაროს თვალეებში,—ასეთი სურათი პირიქით უფრო აღაგზნებდა ზდისის ბუნებაში პირუტყვს,—არამედ იმიტომ, რომ მან ვერ ნახა მაროში იმ იდეებით გატაცება, რომლებიც ზდისის წმიდათა წმიდას შეადგენდენ. მარო ავტორს მეტათ მკრთალათა აქვს დახასიათებული, მაგრამ მკითხველი ვერსად ვერ ხედავს, რომ ის გარყვნილია, დაცემული ბუნების იყო; თუ ზდისი იმის თვალეებში პირუტყვი დაინახა, ეს მხოლოდ მისი აღგზნებული გრძობათა ღელვის ილუზიაა, ან ავტორის უსაფუძვლო ფანტაზია, თორემ ყოველათ შეუძლებელია, გასათხოვარ ქალს საყვარელ არსებასთან პირველათ სეირნობის დროს პირუტყველი გრძობანი აღევებდენ. შეიძლება მარო მეტათ წამხდარი, დაცემული ბუნების იყო, მაშინ ასეთი მოვლენა შესაძლებელია, მაგრამ ავტორი, სანამ ამდენათ დამკირებდა ახალგაზდა ქალს და შელახავდა იმის უმანკოებას, უნდა ნათელი და მკაფიო სურათი დაეხატა მისი, რომ ასეთი დამკირება და შელახვა სრულებით სამართლიანი და საფუძვლიანი ყოფილიყო. როდესაც ზდისი ამბობს: თქვენ ჯერ ეროვნული თვით შეგნება არა გაქეთო, ეს სრულ ქეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს; პოლონელს ამ მხრით, რასაკვირველია, არ მოეწონებოდა არც ქართველი კაცი და არც ქართველი ქალი, ხოლო როდესაც ის აზოგადოებს მაროს სიტყვებს: ჩემი სამშობლო ჩემი გულია და სადაც შევიქნები სამშობლოც იქ იქნებაო, მთელ ქართველ ქალებს უკიჟინებს ამას და გაიძახის: ჩვენი ქალები ამ შემთხვევაში სხვანაირათ სჯიანო, ეს სრული უსამართლობაა. ერთის მაგალითით ზდისის არავითარი უფლება არა ქონდა, ქართველი ქალისათვის ეკიჟინებია; ქართველი ქალის ეროვნული თვითშეგნება იმდენათ სუსტი არ არის, რომ მან სამშობლო გულს ანაცვალოს და იძახოს: სადაც მე ვიქნები, სამშობლოც იქ იქნებაო, და რაც შეეხება ზდისის მიერ პოლონელი ქალების ქებას, თუმცა ისინი ეროვნული თვითშეგნებით მალა დგანან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართულ ქალზე

გაცილებით უფრო ადვილათ მიყვებიან სხვა ტომის კაცს და უფრო ადვილათაც ცვლიან სამშობლოს გულზე. გაბრო ზდისის ეთანხმება და ამით თვით ავტორიც უკრავს კვერს ზდისის სიტყვებს; სწორეთ ამაში ვხედავთ ჩვენ ავტორის უსამართლო მსჯავრს; ქართველი ქალის ეროვნული თვითშეგნება სუსტია, ამაში უკიჟინეთ მას, ამხილეთ ის, მაგრამ ის არ ცვლის სამშობლოს გულზე, ამაში მე ღრმათა ვარ დარწმუნებული და ავტორიც დარწმუნდებოდა, რომ ჩვენი ქალის მხილების გადაქარბებული სურვილით არ იყოს გატაცებული.

ჩვენს ბელეტრისტიკაში ძალიან ცოტაა იმდენათ მარტივი და მასთან იმდენათ გრძნობით სავსე, წარმტაცი და მომხიბლავი მოთხრობა, როგორც ბ-ნი არაგვისპირელის „მიწა“ ბერას სულიერი მოძრაობა ავტორს თავიდან ბოლომდე უნაკლოდ აქვს დახატული, აქ არც ერთი სიტყვა ყალბი ან მეტი არ არის. ჩვენ პატრიოტულ პოეზიას მე ძალიან ნაკლებ მნიშვნელობას ვაძლევ, იმიტომ კი არა, მამულის სიყვარული, მამულის დაცვის საქიროება არა მრწამდეს, არამედ იმიტომ, რომ ასეთი პოეზია დღეს თავის მიზანს ვეღარ აღწევს. ამ ეტიუდში ავტორს იგივე მამულის სიყვარული აქვს დახატული, მაგრამ ბერას გრძნობის სიწრფელე, მისი ღრმა სიყვარული მამულისადმი ყოველ მკითხველს აუტოკებს გულს. სამშობლოსადმი სიყვარული ყოველ ადამიანს უღვივის გულში და ხელოვნების მსახურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იპოვოს გულის კარი და მოხერხებულათ შეეხოს ამ გრძნობას; ჩვენი პატრიოტული პოეზია დღეს ვეღარ აღწევს ამ მიზანს, წარსულ გმირთა გამოწვევა საფლავებიდან, მათი სისხლის ღვრა და ხმალ-ხანჯლის წკრიალის აღწერა ვეღარ იწვევს ჩვენ გულში შესაფერ გამოხმაურებას, ვერ ატოკებს შესაფერ გრძნობას; ის, რაც შეუძლებელია დღეს ჩვენი პატრიოტული პოეზიისათვის, შესაძლებელი გახდა ბ-ნი არაგვისპირელისათვის; უარყავით პატრიოტული პოეზია და თქვენ მაშინათვე მამულის მოღალატეობას დაგწამებს ბევრი; ბევრს ვერ შეუგნია ის უბრალო აზრი, რომ პატრიოტული პოეზიის უვარგისობის აღიარება სრულებითაც არ ნიშნავს სამშობლოსა და მისდამი სიყვირულის უარყოფას; „მიწა“ აშკარათ ამტკიცებს, რომ გრძნობა მამულისადმი სიყვარულისა ყოველ ადამიანსა აქვს, ხოლო ამ გრძნობის გამოწვევას ცოდნა და მოხერხება უნდა, ავიღოთ ერთი ალაგი ეტიუდისა:

— ეს რა არის? — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაკითხა უფროსი ბერას.  
 — მიწა!..  
 — რა მიწა?  
 — ჩემი ქვეყნის მიწა. ახანურს რომ აპოვიარე, იქიდან წამოვიღე; ჩემი სოფელი იქავეა.  
 — მერე რათ გინდა?..  
 — მე, შენი კვნესამე, ამ ქვეყანაში მოკვდები, გული ამას მეუბნება, მინდა სიკვდილის წინათ გულზე დავიყარო, რომ ჩემი ქვეყნის მიწა თან ჩამიყვას.

ასეთ ადგილებს ახსნა და განმარტება არ უნდა; ბერას სიტყვები იმდენათ წრფელია და გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი, რომ გულქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ ბერას გრძნობა ვერ შეიგნოს და მას პატივი არა სცეს. ხელოვნება ვერასოდეს ვერ მიადწევს თავის მიზანს, როგორც უნდა ესაუბრეს მას ეს მახანი, თუ ის კერძო

რავს მკითხველში იმგვარივე თვისებისა და ძლიერების გრძნობას, როგორც იმორჩილებს შემოქმედების დროს ავტორს ან იმ გმირებს, რომლებსაც ის თანაუგრძნობს. თავის მიზანს უნაკლოდ აღწევს ეს მატარა უტიუდი და ამიტომაც ის თამამათ უნდა ჩაითვალოს ბ-ნი არაგვისპირელის ეტიუდებში ერთ-ერთ საუკეთესო მარგალიტათ. რაც შეეხება ამავე ავტორის „ჩემ თავგადასავალს“, ამისთანა სახელოვნო ნაწარმოები განდევნილი უნდა იქმნას მწერლობიდან. სიმეოლიზმის წინააღმდეგი ჩვენ სრულებითაც არა ვართ; ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ, რომ აზრი, იდეა აშკარა და ცხადი იყოს მკითხველისათვის; უამისოთ მწერლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ ისეთი ნაწარმოები, რომელიც გაუგებარ ლაბირინტს წარმოადგენს, დამოხილი უნდა იქმნას. სიმეოლიური ფორმა ხშირათ მეტ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე, როდესაც აზრი ცხადია; ასეთი სიმეოლიზმი სრულ კუთვნილებას შეადგენს ხელოვნებისას, მაგრამ „ჩემი თავგადასავალი“ სრულებით გაუგებარია და მასში რაიმე აზრის ძებნაც კი მეტია.

(შემდეგი იქნება).  
 ი. გომაროელი.

ფრიდრიხ ნიცშე

IV.

რადიკალური სიტყვა ნიცშეს ზნეობრივ ფილოსოფიას დასისება-ხკლუღკანებაზე.

ერთ ფრიად სერიოზულ რუსულ ორგანოში ბ. პრეობრაჟენსკის წერილის<sup>1)</sup> ქვევით ჩვენ ვკითხულობთ რედაქციის შემდეგ შენიშვნას: „ნიჭიერი მწერალი და მოაზრე, როგორც იყო ფრიდრიხ ნიცშე, გატაცებული სიძულვილით სარწმუნოებისადმი, ქრისტიანობისადმი და თვით ღვთისადმი, ცინიკურათ ქადაგებს დანაშაულის, საშინელი გარყვნილების და ადამიანთა ზნეობრივი გათახსირების გამართლებას, და ეს იმიტომ, რომ უმწვერვალესათ განვითარდენ ადამიანთა ტომის რამდენიმე წარმომადგენელნი; კაცობრიობის უმეტეს ნაწილს იგი უწამწურათ აღიარებს პიედესტალათ, რომელზედაც უნდა ამაღლდენ ისეთი თავზე ხელ-აღებულნი და კანონ-ზნეობაში აღვირ-ახსნილნი «გენიოსნი», როგორც არის თვითონ ნიცშე“... აი, როგორ იხსენიებენ ზოგიერთი თანამედროვე სწავლულნი ფილოსოფოს ფრიდრიხ ნიცშეს! საკვირველია, სამწუხარო რომ არ იყოს, ასეთი უმართებულო მსჯავრი ამ დიად ადამიანზე. ღირს-შესანიშნავია ის ფაქტი, რომ კრიტიკოსთა უმეტესი ნაწილი აქცევს მთელ თავის ყურადღებას ნიცშეს ზნეობრივ ფილოსოფიის სწორეთ იმ ადგილს, რომელიც შედარებით ნაკლები ყურადღების ღირსია, — ჩვენ გვაქვს მხედველობაში ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ზე-კაცზე; არავის მათგანს არ გონია, თუ ზე-კაცის გარდა მეტი რამე არის ნიცშეს სწავლაში. ვინც ასეთი შეხედულებისაა ამ საგანზე, მისთვის, რასაკვირველია, ძნელი არ არის დასახოს ზე-კაცი მხეცურ ინსტიტუტებით შეპყრობილათ და აქედან თვით ნიცშეს უზნეობის მქადაგებელი უწოდოს. რაც შეეხება ორ უკანასკნელ მოსაზრებას, ე. ი. ზე-კაცის სი-

1) იხ. Преображенский: „Фридрихъ Ницше“. „Вопросы философии и психологии“, 1892 г., кн. 5.

მხეცეს და ნიცშეს უხნეობას, ამის შესახებ შკოთხეველს შეეძლო შეედგინა თავისი საკუთარი აზრი ჩვენი წერილის პირველი და მესამე თავიდან, ჩვენ მათ კიდევ შევხებით ცოტა ქვევით. ახლა კი ნებას მივცემთ ჩვენ თავს ცოტა ხანს შევჩერდეთ პირველ კითხვაზე, ე. ი. მართლა ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ზე-კაცს ნიცშეს ზნეობრივ ფილოსოფიაში, თუ არა.

როგორც ვიცით, ნიცშეს უკანასკნელი თხზულებები დაწერილია 1882—1889 წ.წ., ე. ი. იმ ხანაში, როდესაც იგი უმეტეს ნაწილს თავის ცხოვრებისას ატარებდა ლოგინში ტვინის და თვალის საშინელი ავითმყოფობის გამო. მასთან არ უნდა დავეიწყოთ ის გარემოება, რომ ნიცშე საშინელი გრძნობიერი გულის პატრონი იყო, — იგი იყო ადამიანი «съ обнаженными нервами», როგორც რუსები იტყვიან. „მე ძალათ ვღებულობ სიცოცხლეს — ამბობდა ნიცშე — მე იმედი მაქვს, რომ ჩქარა მოვღებო ბოლო ჩემ ტანჯვას“, ე. ი. ჩქარა მოვკვდებო. ფილოსოფოსის ასეთ სულიერ მდგომარეობას უნდა დაეჩნია თავისი კვალი მის ნაწერებზე. ნიცშე თვლიდა თავის ავით-მყოფობას დაუმსახურებელ სასჯელათ ბუნებისაგან. მან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა სპეტაკით, როგორც წმინდანმა, მხოლოდ ბუნებამ, მიუხედავად ამისა, სასტიკათ დასაჯა იგი. ნიცშემ გადაწყვიტა „კეთილს“ არავითარი მნიშვნელობა არ ქონია ცხოვრებაში, „კეთილ-სათნობამ დაძლუბა მე“-ო. ეს გარემოება საკმაოდ ხსნის ნიცშეს უკიდურესობას: მისი ზე-კაცი საშინელი სასტიკია, ზოგიერთ შემთხვევაში — მტარვალის კი. მხოლოდ ჩვენი აზრით, უკიდურესობა არ უნდა იქნას აღიარებული რომელიმე მწერლის უმთავრეს დამახასიათებელ მხარეთ. ჩვენ არ გვეუღებოდა ისეთი მწერალი, რომელსაც ცოტათი მაინც არ მიუძღოდეს ეს დანაშაული, მაგრამ ეს სრულიად იმას არ ნიშნავს, რომ მათი მოძღვრება მხოლოდ ამით განისაზღვრებოდეს. ზე-კაცის მტარვალობას არავითარი ორგანიული კავშირი არ აქვს ნიცშეს ზნეობრივ ფილოსოფიასთან. ეს არის მხოლოდ უკიდურესობის ნაყოფი და ვინც ამაზე ამყარებს ნიცშეს სწავლას, ძლიერ ცდება ჩვენი აზრით. ნიცშე ალბათ მოვლოდა კრიტიკოსთა ასეთ მსჯელობას და ამიტომ იმეორებს იგი მრავალჯერ შემდეგ სიტყვებს: „აი დგანან ისინი, თქვა მან (ზარატუსტრამ) თავის გულში, აი იციონიან ისინი, რადგანაც არ გაეგებათ მათ ჩემი არაფერი, მათ ყურებისკენ არ არის მიმართული ჩემი სიტყვები“, ან კიდევ: „გაძლიერდენ ჩემი მტრები და გარყვნენ ჩემი სწავლის სახე“. ნუ დავივიწყებთ იმ გარემოებასაც, რომ ნიცშე ბუნებით პოეტია, ხოლო პოეტებს ჩვევიათ გადაჭარბება. თვითონ ნიცშე გვეუბნება ერთ ადგილას „პოეტის ცრუობისა“, «ზარატუსტრა» კი, ნიცშეს განმარტებით, «პოეტია». «მხოლოდ ერთში დარჩა მღვდლვარე მოაზრე თავის-თავის ერთგულიო», ამბობს პროფ. რილი: «მას მოწონს სრულიად უკიდურესი რამ, იგი მიისწრაფვის ყველაფერში უკანასკნელ საზღვრამდე»<sup>2)</sup>. სამართლიანათ მიგვაჩნია ჩვენ ეს მოსაზრება. გავიხსენოთ ის მეტამორფოზები, რომელნიც განვლო ნიცშეს გონებამ. თავისი მოღვაწეობის პირველ ხანაში იგი თვლის კაცობრიობის უწმინდეს მიზნათ დიონისიურ მუსიკის განვითარებას, იგი

მზათა ამ მიზანს ანაცვალოს მთელი კაცობრიობა<sup>3)</sup>. მეორე ხანაში, ე. ი. როდესაც იგი გატაცებული იყო ნალიზმით, აი რას ამბობს: «ქუშმარტების შეგნება არის მიზანი, რომელსაც უნდა შეეწიროს მსხვერპლათ ყველაფერი, თვით კაცობრიობაც კი»; მესამე ხანაში კი ნიცშემ იგივე კაცობრიობა უმსხვერპლა ზე-კაცს. ჩვენი აზრით, თუ ნიცშემ დააშაუა იმით, რომ ზე-კაცს დაუქვემდებარა კაცობრიობა, ასეთი დანაშაული მას მიუძღოდა პირველ და მეორე ხანაშიც. საკვირველია, რომ ნიცშეს შკიციველნი უყურადღებოთ ტოვებენ ამ გარემოებას. საზოგადოთ კაცობრიობის აბუჩათ ადგებაში ნიცშე არ წარმოადგენს ორიგინალურ მწერალს. ვის არ ახსოვს ფილოსოფოსი ჰეგელის «აბსოლიუტური სული», რომელიც აღწევს უმაღლეს განვითარებას გაქრალ ერების ნანგრევებზე.

ახლა გადავიდეთ ნიცშეს უხნეობაზე, მაგრამ არა... ნიცშეს მაღალ-ბუნებოვანი ზნეობა გაცილებით მაღლა დგას ჩვენ კრიტიკაზე... ასეთი ჩხრეკა-ძიება შეურაცხყოფა იქნებოდა ჩვენი მხრით. სწორეთ რომ შემადრწუნებელია ის ფაქტი, რომ რუსთა ზოგიერთი მწერალნი, — მათ შორის ისეთიც კი, როგორც იყო განსვენებული მეცნიერი გროტი, უწმაწურის სიტყვებით იხსენიებს მრავალ-წამებულ გერმანელ ფილოსოფოსს.

ნიცშეს ზე-კაცი არც ისეთი მხეცია, როგორც ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. გავიხსენოთ კანტის სიტყვები საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. „ადამიანი აღწევს — ამბობს კანტი უმაღლეს განვითარებას სამი ძლიერი გნების შემწეობით, — ესენიც „განდიდების-მოყვარეობა, ბატონობის-მოყვარეობა და ანგარების-მოყვარეობა“<sup>4)</sup>. აი, რას გვეუბნება გერმანელი პროფ. პაულსენი ამის შესახებ: „ნიცშეს ქონდა სრული უფლება აღეარებია თავის მომხრეთ კანტი, როგორც ანტროპოლოგი, რადგანაც როგორც პირველი, აგრეთვე მეორე ფიქრობდენ, რომ ეგოისტური ვნებანი ხელს უწყობენ შთამომავლობის ამაღლებას და ადამიანთა ტიპის განვითარებას ისტორიაში“<sup>5)</sup>. რაც შეეხება ზნეობის ერთ უმთავრეს ატრიბუტს გულ-შემატკივრობას ნიცშეს ზე-კაცი იმავე აზრის უნდა იყოს, როგორსაც ადგია კანტი. ამას გვიოწმებს ლ. შესტოვი, როდესაც ამბობს: «როგორც ვიცით, კანტი უარ-ყოფდა გულ-შემატკივრობას, რადგანაც იგი ამრავლებს ტანჯულთა რიცხვს: ტანჯულის მწუხარებას ემატება გულ-შემატკივრის მწუხარებაც»<sup>6)</sup>. ადამიანთა ეგოისტობის პრინციპი ნათლათ წამოაყენა კიდევ მე-XVII-ტე საუკუნეში ინგლისის გამოჩენილ ემპირიკმა გობსმა; სწორეთ მას ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: «bellum omnium contra omnes». გარდა ამისა, ინგლისელმა მწერალმა კარლელიმა ამ საუკუნის მეორე მოცდაათე წლებში თავის თხზულებაში «გმირი და გმირული ისტორიაში» ბევრი რამ ისეთი თქვა, რომელიც შემდეგ გაიმეორა ნიცშემ, თუმცა უკანასკნელი იხსენიებს მას „უწმაწური სულების“ სახელით.

2) იხ. Проф. Риль. „Фридрихъ Ницше“, стр. 12.  
 3) იხ. Кантъ, „Антропология“, пер. Соколова гв. 132.  
 4) Проф. Паульсенъ. „Им. Кантъ, его жизнь и учение“ гв. 271.  
 5) იხ. Л. Шесовъ „Добро въ учении Толстого и Ф. Ницше“, гв. 46.

1) იხ. Рождение музыки изъ духа музыки“.

ფრიდრიხ ნიცშეს მნიშვნელობა მდგომარეობს იმ დიად კითხვაში, რომელის ასე თუ ისე გადაწყვეტა დასახა მან ზნეობრივ ფილოსოფიის უმთავრეს დანიშნულებათ; პირველათ მან მიაქცია მთელი თავისი ყურადღება გამოჩენილ პესიმისტ მოპენგაუერის ბრძნულ სიტყვებს: «მორალის ქადაგება ადვილია; მორალის დაფუძნება კი ძნელი». ნიცშემ თავისი გენიოსური ნიჭით შეარყია ის დედაბოძი, რომელზედაც ყველა ერთა და დროთა მეცნიერნი ამყარებდნენ თავის სწავლას ადამიანის ყოველ მოქმედების დასაფასებლათ; აი, დაახლოებით რას ეუბნება მათ ნიცშე: თქვენ უქვემდებარებთ ადამიანთა ყოფა-ქცევას ზნეობას, ზნეობრივ მოვალეობას; ერთი მითხარით რაში მდგომარეობს თვით ზნეობის საფუძველი, რატომ გვხადით ჩვენ ზნეობის მონა-მოსამსახურეთ? ჯერ დავიმტკიცეთ, რომ თვით ზნეობა არ არის პრობლემა, ე. ი. რომ იგი არის ყველგან და ყველასათვის ერთგვარათ გადაწყვეტილი კატეგორია. სანამ ამ კითხვაზე არ მივიციით ჯეროვანი პასუხი, მანამ თქვენი ათას-ტომიანი თხზულებები ჩირათაც არ ღირს. როგორც ვიცით, თვითონ ნიცშემ შეუძლებლათ ცნო ამ კითხვის გადაწყვეტა, ეს იმიტომ, რომ „კაცობრიობას — მისი აზრით — ერთი მიზანი არა აქვს“. ეს თვალთა ხედვითი ისარი დაედვა საფუძვლათ ნიცშეს უმწვერვალეს ინდივიდუალიზმს. მან გამოაცხადა თავის-თავი ინდივიდის შეუღრეკელ მომხრეთ; მან გააბატონა ინდივიდი საზოგადოებაზე — საზოგადოების მორალს, სარწმუნოებას და კანონს მან დაუპირდაპირა ინდივიდის მორალი, სარწმუნოება და კანონი. «ნამდვილ ადამიანის სახელს მე იმას ვეძახი — ამბობს ნიცშე — ვინც წავა უდაბნოში და დაანარცხებს იქ თავის გულს, რომელიც ნაჩვევია თაყვანის „ცემას“<sup>7)</sup>.

ნიცშეს ინდივიდუალიზმი გადადის ყოველივე ზომიერების სამზღვარს. აი, რას ეუბნება ნიცშე ზარატუსტრის პირით თავის მიმდევართ: „გირჩევთ, დამკარგოთ მე და მონახოთ თქვენივე თავი“<sup>8)</sup>. საკვირველია, რომ ნიცშეს სიტყვებს «*mihi ipsi scripsi*» თითქმის ყველა კრიტიკოსები პარადოქსალურათ თვლიან, მაშინ როდესაც ეს ფრაზა მთელი მისი ზნეობრივი ფილოსოფიის ლოლიკური დასკვნაა. მართლაც, თუ ნიცშეს აზრით ინდივიდმა უნდა განაგდოს ყოველივე ის, რაც კი სხვას ეკუთვნის, რა უფლება ქონდა მას ეთქვა — მაინცა და მაინც ჩემი სიტყვები იწამეთო; ის გვეუბნება, ჩემი ნაწერები მარტო ჩემთვის უნდა იყოს სავალდებულო, მზგავსათ ამისა თვითყულმა ინდივიდმა თვითონვე უნდა შეადგინოს თავის სავალდებულო კანონები. «*Ego ipsissimus*», იმეორებს ნიცშე.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ფრიდრიხ ნიცშემ ვერ შეძლო თავიდან ბოლომდე დაეცვა თავის თვალთახედვითი ისარი. თუ ნიცშეს აზრით, კაცობრიობას არა აქვს ერთი საყოველთაო მიზანი, ჩვენ არ ვიცით რა საფუძვლით ამბობდა ის, რომ კაცობრიობის ერთათ-ერთ მიზანს წარმოადგენს ზე-კაცის წარმოშობაო. ნიცშე ვერ გვიხსნის იმასაც, თუ რა უფლებით თხოულობს ინდივიდი საზოგადოებაზე ბატონობას: თუ მის მისწრაფებას შეადგენს ის, რომ ინდივიდი სრულიად დამოუკიდებელი

გახდეს საზოგადოებისაგან, რატომ ეს უკანასკნელი უნდა იქნეს დამოკიდებული ინდივიდისაგან.

ნიცშე ცდება, როდესაც ხედავს ინდივიდის გადამოცემულ ტრადიციებში და თანამედროვე საზოგადოებრივ-ეკონომიურ დამოკიდებულებებში ერთათ-ერთს ცუდ მხარეს, — ე. ი. ინდივიდის გამათახსირებელ ელემენტებს და მეტ არაფერს. თანამედროვე ადამიანის უმაღლესი განვითარება გონებრივ-ზნეობრივათ არ უნდა მიეწეროს მარტოთ მარტო მის, ე. ი. ახლანდელი ადამიანის საკუთარ უნარს, — მისი ასეთი განვითარება არის უთვალავე საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობის სოციალურ ცხოვრების ნაყოფი. კაცობრიობის კულტურულ ცხოვრების და მისგან შემუშავებულ ყოველგვარ პრინციპების დაგმობა არ არის სასურველი.

ნიცშეს ავიწყდება, რომ თვით მისი ზნეობრივი ფილოსოფია გამოწვეულია თანამედროვე არსებულ ეკონომიურ-საზოგადოებრივ პირობებით, რაც შეძლების დავგვართ დავამტკიცეთ ჩვენი წერალის მეორე თავში. აქედან გვაქვს უფლება გამოვიყვანოთ ის უტყუარი დასკვნა, რომ, მაგ., მე-XVIII საუკუნის ნიცშეს სრულიად არავითარი მზგავსება არ ექნებოდა თანამედროვე ნიცშესთან, ეს იმიტომ, რომ მაშინდელ დასავლეთ ევროპაში სულ სხვა პირობები სუფევდნენ და სულ სხვა კითხვებით იყო გარემოცული იმ დროის ადამიანის გონება. თანამედროვე სოციალური ხანა წარსულ ხანათა კანონიერ მემკვიდრეთ უნდა იქნას აღიარებული, — ამ საფუძველზე არის დამყარებული მთელი მისი (ახალი ხანის) სილიადე, მთელი მისი მაღალ-განვითარება.

გარდა ამისა, თუ სოციალური ხანა ადამიანთა შორის ეკონომიური თანასწორობის პრინციპის გამომხატველია, ეს გარემოება სულაც არ გვაძლევს უფლებას — როგორც ამას სჩადის ნიცშე — დავასკვნათ, რომ სოციალისტები ქადაგებდნენ ადამიანთა ერთმანეთში გათქვეფას (ნიველირაცკა), ცალკე ინდივიდის გონებრივ-ზნეობრივათ დამოუკიდებელი განვითარება ყოველთვის იყო სოციალისტთა ერთი უმთავრესი იდეალთაგანი.

კაცობრიობის მრავალ-ფეროვან სოციალურ ცხოვრებას დასაბამიდან ვიდრე აქამომდე მუდამ თან დევდა ორი ერთი-მეორის წინააღმდეგი მიდრეკილება, რომელთა შორის სუფევდა დაუცხრომელი ბრძოლა ბატონობისათვის. ამ ორი ერთი-მეორის წინააღმდეგი მიდრეკილებათა გამომხატველნი არიან «საზოგადოება» და «ინდივიდი». როგორც ვიცით, აქამომდე უპირატესობა ეკუთვნოდა პირველს, — «საზოგადოებამ» წელში მოკაკა «ინდივიდი», თითქმის მის მბრძანებელ მტარვალათ გახდა, მაგრამ დახეთ სასწაულებას! «ინდივიდი» იმართება წელში, იკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს და თვალის დახამხამების სიმარლით ეჯახება «საზოგადოებას»... იგი ამბობს: აქამდის მე მიჯახებდა «საზოგადოება», ახლა კი მე მინდა დავიჯახნო იგი... მე მინდა გავხდე გარეშე პირობების ბატონი და მბრძანებელი... მე მინდა და კიდევაც ძალმიძს ისტორიის ჩარხი ვატრიალო ჩემ ნებაზე...

აი, ამ დიადი «ინდივიდის» ხორც-შესხმული გამომხატველია გერმანელთა ცეცხლ-მფრქვევი ფილოსოფოსი ფრიდრიხ-ვილჰელმ ნიცშე.

ქ. ჯიჯია. ა. ჩხენკელი.

7) იხ. „Такъ говор. Зар.“ გვ. 104.  
8) იქვე — 46.

**ბ ი ზ ლ ი ო ზ რ ა ზ ი ა .**

ა. ბოგდანოვი. — „Познание съ исторической точки зрѣнія“. СПб. 1901. VI 217. ფასი 1 მან.

მკითხველი უკვე იცნობს ბოგდანოვის მისი საპოლემიკოსტატიებით ტუგან-ბარანოვსკის და ფრანკის წინააღმდეგ («Научн. Об.» და «Жизнь») და აგრეთვე ორი წინანდელი მისი შრომით: „პოლიტიკური ეკონომიის მოკლე კურსით“ (ორი გამოცემა) და „ბუნებაზე ისტორიული შეხედულების ძირითადი ელემენტები“. ამ ნაშრომში ყველაზე უწინ თქვენ ყურადღებას იპყრობს ჩვენ დროში იშვიათათ შესახვედრი თვისება — აზრის მკაფიოთ გამოხატულება და ერთხელ შეთვისებული დედააზრის თანდათან გატარება. იმავე ავტორის უკანასკნელი შრომა «ცნობიერება ისტორიული შეხედულებით» წარმოადგენს თითქმის გაგრძელებას წინანდელი შრომისას („ძირითადი ელემენტები“), რომელშიაც გადმოცემულია სინტეტიური მონიზმის (ეს ის ტერმინია, რომლის შესახებ ასე უფხვოთ მახვილობდა ბერნშტეინი) დედააზრი.

ბოგდანოვის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოციოლოგიურ ლიტერატურაში, რადგან მან ხელი შეუწყო და წინ წააწია მარქსის მეთოდი მონისტიური განვითარების გზაზე.

აღჭურვილმა საქმის მეტი ცოდნით, ვიდრე სხვა ვინმე მარქსის მიმდევართაგანი, ბოგდანოვიმ არსებითათ გამოხატა სამეცნიერო ცნობიერების სხვა-და-სხვა სფერის მეტოდოლოგიური ერთიანობა და eo ipso (მით) გამოარკვია ფილოსოფიის ძირითადი საკითხი „მსოფლიო პროცესის მონიზმისა“. ბოგდანოვის აზრის ორიგინალობა იმაში გამოიხატება, რომ იმან პირველათ ლოლიკურათ დაუმორჩილა წმინდა ცნობიერების მეთოდები — და მათში მარქსის სოციოლოგიური მეთოდიც — ენერჯის პროცესს, როგორც ცნობიერების საერთო მეთოდს, როგორც მოვლენათა შორის არსებული მიზეზური დამოკიდებულების უმაღლეს გამოხატვას სოციოლოგიური კანონი «ტენიკის პრინციპი» ავტორს განხილული აქვს, როგორც ბიოლოგიური მიზეზიანობის კერძო შემთხვევა — შერჩევის კანონი, ეს უკანასკნელი კი თავის მხრით — როგორც ერთი ფორმათაგანი ენერჯის ანორგანიული კანონისა, ამ საერთო ცნობიერების მეთოდისა. რაკი «ენერჯია» ნიშნავს ცვალებადობას, პროცესს, ცნობიერებას კი აქვს საქმე პროცესთა ცვალებად ფორმებთან, ამიტომ საერთო მეტოდოლოგიური პრინციპი ყოველი გამოკვლევისა ამ ნაირათ გამოითქმის: ფორმის ისტორიაში მისი შინაგანი დამოკიდებულება განისაზღვრება გარეგანით. ამასთან ენერჯის კანონის შეხედვით, ცვალებადობა-მიზეზი და ცვალებადობა-შედეგი — წარმოადგენენ ორ რაოდენობით და არსებითათ თანაბარ სტადიას ერთი და იგივე პროცესისა.

სოციოლოგიური მონიზმის დამკვიდრება იმით, რომ ამ პრინციპს ლოლიკურათ დაუმორჩილებთ ენერჯის პრინციპს, სრულიად ეთანხმება დღევანდელი მეცნიერების მიმართულებას. «კათედრის» მეცნიერებაც კი, თუმცა გაუბედავათ ენერგეტიზმს აღიარებს, და ამ ენერგეტიზმში სამართლიანათ ცდილობს იპოვოს მიზეზიური საფუძველი მონისტიური შეხედულების დასამკვიდრებლათ (იხ. ოსტეალდი. „Несоостоятельность научнаго матеріализма“).

თავიდანვე გვეგლიანოზმის საღ ელემენტებზე დაფუძნებული სოციოლოგიური მოძღვრება მარქსისა თავისუფლათ ეგებება თანამედროვე მეცნიერების მიმდინარეობას, რომელსაც ენერგეტიული მიმდინარეობა ეწოდება: ორივე ისინი ერთდებიან ერთ დიად მიმდინარეობაში. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ მეორე მიმართულება, რომელიც ცდილობს „მარქსიზმა გააღონიეროს კანტიზმით“, იძულებულია არსებობისათვის ბრძოლაში გამიჯნულათ უარყოს სწორეთ ის, რაც შეადგენს დღევანდელი მეცნიერების უძვირფასეს შენძენს (იხ., მაგ., სტრუვეს და ბერლიავეის შრომანი).

„ცნობიერება ისტორიული შეხედულებით“ არის ენერგეტიული მეთოდის გამოყენება ცნობიერების ფაქტების განხილვაში. შრომა მეტათ ორიგინალურია, ღრმა ანალიზით გატარებული და მასთან მეთოდი მეტათ სისტემატიურათაა დაკული. განიყოფება სამ ნაწილათ: I-ში ახსნილია ენერგეტიული შეხედულების შინაარსი და მასთან ფაქტებზეა ის გამოცდილი, მე-II ცნობიერება განხილულია როგორც შეგუება (წარმოებასთან), მე-III — ცნობიერების ისტორიული თეორიის მეთოდი. ეს მეთოდი განყენებითია და მის დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენს, რომ აქ „ცნობიერების ფორმები ყოველთვის განიხილებიან მათი განვითარების მონისტიური ტენდენციის მიხედვით“. მესამევე ნაწილში არის მეტათ ღრმა ანალიზი აზროვნების საერთო ტიპებისა (ანიმიზმის, მეტაფიზიკის, სინტეტიური მონიზმისა). ჩვენი მკითხველი მეტის-მეტი ყურადღებით წაიკითხავს წიგნის ამ ნაწილს. ბოგდანოვის შრომას ძალიან ატყვია პოლემიკური ხასიათი. პოლემიკა მიმართულია წინააღმდეგ „ცნობიერების კრიტიკული თეორიისა, ანუ როგორც კიდევ უწოდებენ მას „ნოსკოლოგიისა“. ავტორი ნათლათ გვიხატავს „კრიტიკული მონიზმის“ დოგმატიზმს, ეკლექტიზმს და ულოლიკობას, რომელიც სახელათ სწორეთ იმას ირქმევს, რაც არ აქვს შინაარსათ». მკითხველს ვურჩევთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ღრმა-შინაარსიან შრომას ბოგდანოვისას.

P. S. „Миръ Божій“ ს. № 2 I. V. დაბეჭდა ბოგდანოვის წიგნზე რეცენზია, რომელიც არის მეტათ ზეზერეული და უშინაარსო.

**ზ უ რ ი ის « შ უ ა მ ა ვ ა ლ ის » კ რ ე ბ ა .**

მოკესსუხებთ (იხ. „კვალა“ № 21), რომ გასული წლის 9 მაისის კრებამ თავის გამართლებას საშუალება მიცა ავირძმის უფროსს სოლომონ ჭვიშვილს. ისიც იცის „კვალის“ მკითხველმა, თუ რაში უნდა გაკმათლება თავი ბატონ გამგეს. თავის გამართლება შეიძლება, მე მგონია, მარტო გასამართლებელი განხილვით საბუთებთ და ფაქტებთ, ანგარიშის შესწორებით, ნამდვილი მიზეზების მონახვით და სხვა. დახარხენ „დეკატობას“ აქ არ უნდა ქონდეს ადგილი. სოლოლოკლევე ამას მაგიერ ბნმა «დეკატობა» 16 დეკემბერს წარმოადგინა ერთი დაუსრულებელი კანცელირული „ობშჩენიე“, სდაც ვითომ არღვევდა მის შესახებ გაშუქებულ აზრს უწოდებდა ამის ბოროტი პირების „ისტრიგას“, ისკრდა მთრასებს მარჯვნით და მარცხნით, და სხვა და სხვა.

\*) ამ წერილის დასტამბვა უადგილობის გამო დაგვიანდა.

ყოველივე ამან დაღვას კრებს და ის, 11 საათზე გახსნილი ნ. თავდგომის თავმჯდომარეობით, გადაიღო საღამოს სუთა საათისათვის. როგორც განცხადებიდან ჩანდა, განსახილველად იყო 16 კითხვა, მართლაც კი, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი სვეტი-კამათი ორი კითხვის გარშემო დატრიალდა. ეს ორი კითხვა იყო — 1 ანგარიშის დამტკიცება და 2 — გამგეობის განახლება. პირველი კითხვა დაყენებული იყო ამ გვარით: რომელი ანგარიში დამტკიცდეს, — გამგეობის, თუ რევიზიისა. ბ. თედორე კიკვიძემ სავსაოთ მარტივად ასწავლა, რომ გამგეობის ანგარიშის დამტკიცება იქნებოდა აშკარა უკანონობის სეღის დაფარვა, რადგან დღეს არავისთვის სამართლიანად არ არის „ღობე-უორელი“ მიღებ-მოღება მის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა. საზოგადოებამ მონაწილე რევიზიის ანგარიშის ერთნაირად დამტკიცება. აქ ბ. კიკვიძემ და მასთან ერთად-ერთად პირმა მოამბეებმა კენჭის ყრავ, მოარბენის უფლებები და საქმესაც შეუდგებოდნენ, რადგან ამის იურიდიული უფლებაც აქვთ, რომ საზოგადოებას უფორილი არ დაწყო და მკვლევარე პროტესტი არ განეცხადებია. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომლის საზოგადოებრივ და დამასახალისებელ მნიშვნელობას მინდა მივაქციათ მკითხველის ყურადღება. თედორე კიკვიძეს, მისი სამართლიანი განცხადების შემდეგ, უზრდელი სიტყვებით შეესაბ. ჭეიშვილი და წოდესაც კიკვიძემ პასუხი გაცა, თავმჯდომარემ მიამართა მას: რატომ ამოუღე საღამომის ჭეიშვილი, რატომ გამოიყვანე მოთმინებიდან და ისეთი სიტყვები ათქვიინეო. ჩვენ, მსუფრულებს, აქედან ის დასკვნა გამოგვეყვას, რომ როგორც ბ. კიკვიძე, ისე თვით ბ. თავდგომარეც ერთად გუფხვილად ბრძანებულან, თორემ ერთი მიზრძანეთ, რა იყო ასაღვლებელი ან მოთმინებიდან გამოიყვანელი ბ. კიკვიძის სიტყვებში, იმ სიტყვებში, რომელსაც კრების შეგნებული ნაწილი ტაშის რეჟით მიუგება? ნუ თუ ის სრული ჭეიშვილია არ იყო? ან, სად განგებდა მაგ., ის, რომ ერთ ვაცს ერთს დღეს სადილი ეჭამოს ოსურგეთში, ღანხსუთში ბათუმში და კიდევ სხვაგან. და ასეთი «წილადობილად» განა ცოტად გამგეობის ანგარიშში? ესეც რომ არ იყოს, რისი ან ვისი მიზრუვლია ბ. თავდგომარე? აი, ვუქვილიც ამას ქვიან!.. კრებამ, რასაკვირველია, დამტკიცდა რევიზიის ანგარიში. მეორე კითხვამ უფრო დიდი მძვავი გამოიწვია. კრებას, აშკარა იყო, უფრო აინტერესებდა მკვლეი გამგეობის გადაყენება, ვინემ ასაღის არჩევა. ამით თუ აიხსნება ის გარემოება, რომ დასახელებული კანდიდატების წინააღმდეგ არავის უკმაყოფილება არ განუცხადებია და მკვლის დაჩხენის შესახებ კინტი არავის დაუძრავს. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ კრება მართალი იყო, თუ ამ მოსაზრებით სულმძღვანელობდა, და თუ სულ ასლო მომავალში დანიშნავს კრებას და ნამდვილად გამგეს აირჩევს. თორემ ჩვენ ბევრი გვაქვს სათქმელი იმის წინააღმდეგ, რომ ასეთი არჩეული კომპლექტი დიდ ხანს დაჩხენს გამგეთ. არჩეულ სუთ პ. რში ერთი — ვასილ სუნდაძე — კრებიდან გავიდა იმ დროს, როცა მისი კანდიდატურა წამოყენეს, მეორე — ნიკო გეგელაშვილი — კატეგორიულ უარს აცხადებდა, სოლო მესამე — ნესტორ მსხვიძე — სავსაოთ გულწრფელად იმეორებდა: ბევრათ უკეთესია ამხანაგობა გაუქმდეს, მე მაინც არაფერს გავაკეთებო. დანიშნენ ორი პირის — ვასილ-მიძის და კანდელაკის — შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, რადგან იგინი კრებაზე არავის დაუხანავს. ოქმში წერია: ამ სუთ ვაცს უფლება ექვება, როგორც თავინთ შორის, ისე გარეშე პირებშიაც აირჩიონ ერთი მუდმივი გამგე და წარუდგინონ საზოგადო კრებას. სოლო ფიჩქის ესდინდელი უფროსი სო-

ლომონ ჭეიშვილი გადაყენებულია თანამდებობიდან და თვითსუფალია მომავალ საქმეთა წარმოებისაგან. მეტი არაფერი იგითხავს მკითხველი. მეტი რა საზოგადოებრივად უნდა იქნება ბ. კიკვიძის იმ საჩუქში, რომელიც მას კრებაში ჩეიშვილის დროს მოუვიდა და პასუხის მკვლევარისგანაც არ განუთავისუფლებია. თუ საჭიროა იმასაც გავიმეორებ, რომ, როგორც ორატორები ამბობდენ «ამხანაგობა სულს ღაფავს და რადიფისი სამარისაქენ აქვს გაშორილი». კრების დიხსივას შეადგენდა ის, რომ ყველას მიანიჭეს აშკარა უფლება. ეს კი ჩვენი პირობების ჩვეულების წინააღმდეგია.

მ. ნი.

ქურნალ-გასეთებიდან.

მეტათ საინტერესო ხანა დაუდგა ჩვენში დემოკრატიზმს: დღეს ყველა მას ეპოტინება, აქვს თუ არა რამე საერთო მასთან. ჩანს, კარგი გასავალი აქვს ამ საქონელს, რომ გადიდებულიც და დამატებებიანი გაზეთები მას ელტვიან და ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ ყოველთვის დემოკრატები ყოფილან. ასე გასინჯეთ, „დინჯი ივერიაც“ კი ეცილება არჩილ ჯორჯაძეს მის დემოკრატობაში და უმტკიცებს, რომ მისთანა დემოკრატი «ივერიაც» ყოფილა დღიდან დაარსებისა. წაიკითხეთ «ივერიის» ნარკვევი № 7-ში და დარწმუნდებით ამაში.

«ამ დასკვნას „ივერია“ დიდი ხანია დაადგა და ასრულებს კიდევაც, მიუხედავად იმისა, რომ გადაიბე-გადმოკიბვით ზოგი საგანს განებე მოჩვენებულს უაღბს ტუქში ასევედა ბევრჯერ და ჩვენ დასაკუსულობას გვიკვირებდაო», ამბობს „ივერია“, ის „ივერია“, რომელსაც ბ. ჯორჯაძემ რეაქციონერთა ბანაკი და საბუღარი უწოდა. და თუ მართლა ასეთი თანხმობა არსებობს მათ შორის, მაშინ აღარ ვიცით, რომელია რეაქციონერი და რომელი პროგრესისტი. მაინც შეგვიძლია თამამათ ვთქვათ, რომ ასეთი ატტესტაცია არაფრათ ებიტნავება ბ. ჯორჯაძეს. მაგრამ ვაცალოთ ჯერ: მოხუცებულებმა მკითხაობაც კარგათ იციან ხშირათ და ვინ იცის, იქნებ „ივერიის“ წინასწარმეტყველებაც ასრულდეს და ბ. ჯორჯაძე მართლა დაეთანხმოს „საბოლოო(ო) დასკვნაშიც“. მერე, ღირდა ამისთვის ამდენი ხმაურობის ატება, ამდენის წერა, ამდენი წყრომა, რომ ბოლოს ისევ „ივერიის“ ამოდგომოდით გვერდში, ბ. ჯორჯაძე? ამბობენ: მითხარი ვის იცნობ და გეტყვი ვინა ხარო, და თუ ეს მართალია, კიდევ უფრო მართალი ვიქნებით, რომ ვთქვათ: გვითხარი ვის მოწონხართ და გეტყვით, ვინცა ხართ თქო...

\* \*

«ცნობის ფურცელს» არა ერთხელ გაუმეორებია, რომ დღევანდელი ცხოვრების მკვლევართათვის წარსულის ცოდნა საჭირო და ამაზე ყველა ვეთანხმებით. არ ეთანხმება მხოლოდ მისი კრიტიკოსი ბ. ზანგი, რომელმაც ისე ახლო წარსულისაც არა იცის რა, როგორც 1895 წელია. თავის გასული წლის (1901) სიტყვაკაზმულ მწერლობის განხილვაში («ცნ. ფ.» № 1694) იგი ბრძანებს: «ბ. ლალიონი («ეფემიის ოცნების» ავტორი) ასლად გამოდის სამწერლო ასპარეზზე, კრიტიკა ვალდებულია სრულის ყურადღებით მოეკიდოს იმას, რადგან შესაძლოა, გაუადვილოს მწერალს თავისი ნიჭის გამორკვევაო». დიან, გალდებულია-თქო, ვიტყვით ჩვენც, მაგრამ

ამასთანავე ვალდებულია თვით იმ მწერლობასაც იცნობდეს, რომელსაც არჩევს, და თუ ეს ვალდებულება სამართლიანია, მაშინ არც ბ. ზანგს ებატება ბ. ლალიონის „ფორალი დავლადის“ შეუმჩნეველობა ჩვენ ნიჭით ღარიბ მწერლობაში. აი, ეს გვარიანი მოზრდილი მოთხოვნა იყო ჩვენი ავტორის სადებიუტო ნაწერი და მან საკმაო ყურადღება მიიქცია მკითხველი საზოგადოებისადმი იგი დაიბეჭდა 1895 წ. „მოამბის“ 1 და 2 №-ში და საპატიო ადგილი მოუპოვა თავის ავტორს ჩვენ ახალგაზდა მწერლებში. არც კრიტიკას დარჩენია შეუმჩნეველი და ყოველივე ეს უნდა იცოდეს „ცნ. ფლის“ კრიტიკოსმა, ნამეტურ როცა მოთხოვნა მათსავე ჟურნალში დაბეჭდილი...

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

თფილისის კერძო სამკურნალო

მ. გავაზანიშვილისა

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 247.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა დღეების:

- კ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ. მასკალ გუდუჩაშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ., გარდა ხუთშაბ. და შაბათისა.
- კ. გ. ფელოძე — შინაგანი და ბავშვებისა, 9—10.
- გ. გ. მალაღაშვილი — შინაგ. სამშ. ზ ხუთშ. 10—11.
- ნ. ა. მუღანი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა, 11—12.
- ი. პ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი, 10—12.
- კ. მ. ელიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- ქქაში ქალი მ. ს. ბაქრაძე — ბავშვებისა, 11—12.
- დ. ა. გუდუჩაშვილი — ნერვებისა და შინაგ. 12—1.
- ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- ს. ა. კოჩიაშვილი — ქირურგიული, ორშაბათობით ოთხშაბათობით და შაბ. 1—2.
- ი. დ. ბეგთაშვილი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>—2.

ს ა ღ ა მ ო თ ი :

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.
- ა. გ. მალაღაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა. 5—6.

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ :

გ. გ. მალაღაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევადარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ დამობით კვირებს მორიგობას, ღამის 9 საათიდან დღის 7 საათამდე. მსურველ „შეუძლიანთ სახლშიაც წაიყვანოს.“ (წლ.)

მიიღება ხელის მოწერა 1902 წლისთვის

შ უ რ ხ ა ლ

## „ მ ო გ ზ ა უ რ ზ ე “

გამოვა იმავე პროგრამით, ზედ დამატებით წერილებისა: პედაგოგიიდან, მეურნეობა-მრეწველობიდან, ჰიგიენა-მკურნალობიდან და სამეცნიერო კითხვებიდან.

ფასი ყურნადისა გაგზავნით: წლით — ხუთი მანეთი, ნახევარი წლით — სამი მანეთი. ფული და წერილები უნდა გამოიზავნოს: Вь Тифлисъ, редакци «Могзаური».

## მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისთვის „მოამბე“-ს წილის უპრეტენზიო სურათებიანი დამატებით.

ყოველთვიური ჟურნალი „მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ყურნადისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	სახლვარ-გარეთ:
1 წლით . . . . . 10 მ.	1 წლით . . . . . 13 მ.
6 თვით . . . . . 6 „	6 თვით . . . . . 7 „
3 „ . . . . . 3 „	3 „ . . . . . 5 „

ყოველ დღიური გაზეთი „სწოგის უპრეტენზიო“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:	სახლვარ-გარეთ:
1 წლით . . . . . 6 მ.	1 წლით . . . . . 11 მ. — კ.
6 თვით . . . . . 4 „	6 თვით . . . . . 6 „ 50 „
3 „ . . . . . 75 კ.	1 „ . . . . . 1 „ 10 „

ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს, „სწოგის უპრეტენზიო“ უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განწილება სამივე გამოცემაზე: პირველათ—6 მ., 1-ლ მარტამდე—3 მ., 1 აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მი-4 ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3 ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ და ბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქციას და კანტორას იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე.

ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцию „Могамბე“ и „Цнобისъ Цурцели“.

(3—3).

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისთვის

ორ-კვირიულ გამოცემათა

## ქართულ მწყემაღა და რუსულ Пастыр-ზე

ყურნადის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 მ.	6 თვით „მწყემსი“ 2 მ.
— — რუსული 3 მ.	— რუსული 2 მ.
— ორივე გამოცემა 5 მ.	— ორივე გამოც. 3 მ.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა უკირაღაში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე ლამბაშიძესთან, თფილისში წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; ახალსუბანში ბლალაჩინ მამა არისტარხ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელი წლით ორივე გამოცემა 3 მან.

რედაქცია იმყოფება დაბა უკირაღაში, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Вь Квирилы, въ редакцию газеты и журнала „Мцкеმსი“ и „Пастыр“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსისა“, რომელნიც ნახევარ ფასათ დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეუძლიათ დაიბარონ რედაქციიდან.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ (III-Й Г.)

на ежемѣсячный научно-литературный журналъ

# „КАВКАЗСКІЙ ВѢСТНИКЪ“

„Кавказскій Вѣстникъ“ даетъ ежегодно около 3,000 страницъ оригинальныхъ и переводныхъ статей съ арм., груз., татарск., арабск. и съ европейскихъ языковъ.

Въ выпущенныхъ книгахъ журнала были помѣщены:

1) Беллетристическія произведенія К. С. Баранцевича, П. П. Гнѣдича, Д. Е. Ведребисели, Ивановича, Д. Л. Мордовцева, К. В. Назарьевой, Раффи, Гр. Церетели, Прошьяна, Папазяна, Патканьяна, Ниношвили, Елдіашвили, Агароньяна, Л. Кипіани, Иванъ-да Марьи, П. А. Опочинина, Д. С. Мережковского, Арагвиспирели, кн. Орбелиани, Хетагурова, А. Церетели, А. И. Андреева, Н. Бердяева, Оссовскаго и др.

2) Научныя статьи Н. Н. Баратова, П. О. Бобровскаго, Г. А. Эзова, А. Д. Ерицова, А. Ф. Кишидзе, проф. Н. Я. Марра, проф. А. С. Хаханова, К. Ф. Гана, проф. Н. Ф. Каланова, проф. В. Ф. Миллера, проф. К. И. Лисенко, А. А. Калантара, кн. Масальскаго, В. Е. Романовскаго, А. В. Мдивани, Ахмедъ-бекъ-Агаева, проф. А. Н. Краснова, проф. А. Н. Веселовскаго, Юр. А. Веселовскаго, Г. В. Баева, Я. В. Абрамова, М. И. Тамашева, Л. Исарлова, Гашиль-бекъ Везирова, С. И. Уманца, Е. С. Такайшвили, А. И. Хатисова, Г. П. Меликъ-Каракозова, П. М. Кара-Мурзы, М. Джанашвили, Х. А. Вермишева, М. В. Глушакова, А. И. Натроева и др.

3) Письма и записки: Гр. Евдокимова, Католикоса Нерсеса V, А. Бенкендорфа, А. Дурново, декабриста Бѣльева, гр. М. С. Воронцова, гр. Гудовича, И. Айвазовскаго, арх. Юсифа Аргутинскаго, Ермолова, И. Тургенева и друг.

4) Рисунки: Царь Грузинскій Георгій XII, царевичъ грузинскій Давидъ Георгіевичъ, А. Суворовъ, Шардевъ, карта Ахалцихскаго уѣзда, развалины церкви Чабя Эрда, Мцхетскій соборъ Свети-Цховели, И. И. Свѣдѣнцовъ, кн. Р. Д. Эрнстовъ, Раффи, Виды Тифлиса, Эривани Эчмιάдиана въ 1673 году, Пиръ въ Тифлисѣ въ XVII вѣкѣ.

### Условія подписки:

Для городскихъ подписчиковъ въ годъ 9 р.,  $\frac{1}{2}$  года 5 р.  
Для иногороднихъ — 10 р., — 6 р.

Льготныя условія допускаются для лицъ, подписывающихся непосредственно въ конторѣ журнала Книжнымъ магазинамъ ком. ск. 10%.

Адресъ редакціи и конторы: Тифлисъ, Тургеневская, 11. Подписка принимается во всѣхъ книжныхъ магазинахъ, въ конторѣ журнала и въ отдѣленіи конторы: Тифлисъ, Голов. пр., № 1 (Книжный магазинъ Хиддекель).

Въ числѣ рукописей, имѣющихся въ редакціи, находятся слѣдующія:

Пастыръ, повѣсть А. Казбека, съ груз. — Со всѣхъ сторонъ, повѣсть Арбоели, съ груз. — Честь, романъ Ширванзаде, съ арм. — Зѣница ока, О. Шапиръ. — Стихотворенія Ов. Туманянца, съ армян. — Дети страданья, романъ Аларкона, съ исп. — Мать и сынъ, драмат. этюдъ кн. Ил. Г. Чавчавадзе, съ груз. — Мемуары кн. Андроникова (1811 г.). — Максъ Мюллеръ, Бердяева — Воспоминанія офицера генеральнаго штаба. С. Кишмишева. — Обычное право у казаковъ, А. Передѣвскаго. — Турецкій театръ. Эр. Росси съ итал. — Вахтангъ VI и Петръ Великій. В. Романовскаго. — Обычное семейное право у армянъ, Самуельяна — Вліяніе Византіи на грузинское законодательство, Н. Тавдиридзе. — Азіатская академія проекты Кера и Гр. Уварова. — Мемуары Л. Исарлова. — Матеріалы для исторіи эчмιάдз. патр. престола. — Очерки по крѣпостному праву и кр. реформѣ въ Грузіи. А. Кишидзе. — Григорій Нарекскій, этюдъ А. Чобаньяна — Елисаветпольская губ., впечатлѣнія и воспоминанія І. Сегаль. — Письма и записки нѣкоторыхъ кавказскихъ дѣятелей, а также Ренана, Мопассана, В. Гюго, Шопенгауера и др.

Годовые подписчики получаютъ въ 1902 г. приложеніемъ къ „Кавказскому Вѣстнику“ романъ М. С. Хатисовой „ПО НОВОМУ ПУТИ“.

(1—1) Редакторъ издатель В. Д. Кюргановъ.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 ГОДЪ

(X-й г. изданія)

на ежемѣсячный литературный и научный журналъ

# РУССКОЕ БОГАТСТВО

издаваемый

Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ.

Подписная цѣна:

На годъ съ доставкой и пересылкой 9 руб.

Безъ доставки въ Петербургъ и Москвѣ 8 „

За границу 12 „

Подписка принимается:

Въ С.-Петербургѣ — въ конторѣ журнала — уг. Спасской и Басковой ул. д. 1—9. Въ Москвѣ — въ отдѣленіи конторы — Никитскія ворота, д. Гагарина.

При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе, допускается разсрочка:

при подпискѣ . . . 5 р.	или	при подпискѣ . . . 3 р.
и къ 1-му іюля . . . 4 р.		къ 1-му апрѣля . . . 3 р.
		и къ 1-му іюля . . . 3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

Книжные магазины, бібліотеки, земскіе склады и потребительныя общества, доставляющіе подписку, могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра.

Подписка въ разсрочку отъ книжныхъ магазиновъ, бібліотекъ, земскихъ складовъ и потребительныхъ обществъ не принимается. (3—2)

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1902 г.

На ежедневную газету политики, литературы и общественной жизни

# „КУРЬЕРЪ“

ВЪ ГАЗЕТѢ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:

А. П. Алексѣевскій, Леонидъ Андреевъ, В. И. Анофриевъ, В. Л. Бинштокъ, П. Л. Боборыкинъ, Г. Н. Браунъ, В. Н. Быстренинъ, В. А. Вагнеръ, А. А. Вербицкая, В. А. Гиляровский, Сергѣй, Глаголь, М. Горькій, Е. П. Гославскій, М. Ф. Громницкій, И. А. Давилкинъ, Н. П. Дружининъ, В. Е. Ермиловъ, А. С. Изгоевъ, В. В. Каллашъ, М. С. Кауфманъ, проф. А. И. Кирпичниковъ, П. С. Климентовъ, П. С. Коганъ, А. Р. Крандіевская, В. А. Крандіевскій, Н. Н. Крашенинниковъ, В. М. Лавровъ, К. В. Лаврскій, В. Н. Ладыженскій, проф. А. П. Левицкій, проф. М. А. Липинскій, Максъ-Ли (псевд.), Д. Н. Маминъ-Сибирякъ, И. И. Митропольскій, В. М. Михеевъ, Д. Л. Мордовцевъ, П. М. Невжинъ, Вас. И. Немировичъ-Данченко, И. Д. Невикъ, В. П. Острогорскій, А. В. Пожеговъ, В. А. Поссе, И. М. Потапенко, М. Н. Ремезовъ, проф. А. Р. Свиршевскій, Н. А. Селивановъ, кн. А. И. Сумбатовъ (Южинъ), Н. Д. Телешовъ, Н. И. Тимковскій, Д. И. Тихомировъ, Н. В. Тулуновъ, Р. А. Калькъ, Я. А. Ф—инъ, Физико-Химикъ (псевд.), Н. Н. Фирсовъ, (Л. Рускинъ), М. И. Фридманъ, В. М. Фриче, А. С. Хахановъ, Р. М. Хивъ, проф. В. К. Цераскій, А. А. Черевкова, В. Д. Черевковъ, Гв. Чиряковъ, П. Чеховъ, проф. Е. Ф. Шмурло, В. М. Шулятковъ, А. И. Яцмирскій и др.

Газета имѣетъ постоянныхъ корреспондентовъ въ Берлинѣ, Бѣлградѣ, Вѣнѣ, Константинополѣ, Лондонѣ, Мюнхенѣ, Неаполѣ, Нью-Йоркѣ, Парижѣ, Римѣ, Софіи и другихъ городахъ.

### Подписная цѣна

съ доставкой въ Москвѣ и пересылкой въ другіе города Россіи:  
на годъ — 6 рублей, на  $\frac{1}{2}$  года — 3 р. 50 к., на 3 мѣсяца — 2 руб., на 1 мѣсяць 75 коп.

Для воспитанниковъ высшихъ учебныхъ заведеній на 1 мѣс. 60 к.

### За границу вдвое.

При годичной подпискѣ допускается разсрочка, при непремѣнномъ условіи непосредственнаго обращенія въ контору газеты: при подпискѣ 2 р., къ 1-му апрѣля — 2 р. и къ 1-му іюля — 2 р.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе 31 декабря и одинъ годъ съ другимъ не сливается.

При перемѣнѣ адреса уплачивается 20 коп.

Главная контора редакціи газеты помѣщается въ Москвѣ, Петровскія линіи, подъѣздъ № 2-й.

(3—2)